პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი
№ 285 (10679)

კვირა, 9 დეკემბერი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ყოველთვის ვიყოთ მასების შუაგულში — „პრავდის“ 8-XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

წერილების გაცვლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჰ. ს. სუჰრავარდის შორის (1-ლი გვერდი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ირანის ელჩი ა. მასუდ-ანსარი (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იზაბელა ბლუმი (1-ლი გვერდი).

რ. დავითური. — ბოლნისელი კოლმეურნეები სომხეთში (1-ლი გვერდი).

შევისწავლოთ და ფართოდ დავნერგოთ სტავროპოლელ მეფრინველეთა ძვირფასი გამოცდილება. — ნ. ანდრონოვა. — როგორ ვაღწევთ მაღალ კვერცხმდებლობას; **ი. სიდორენკო.** — დიდშემოსავლიანი დარგი; **ნ. კლიმენკო.** — ასე გუვლით მოზარდეულს; **ტ. სკრიპნიკი.** — აი, რა მოვცა ფრინველის გალიურმა შენახვამ; **გ. ბუკაკაშვილი.** — მათგან უნდა ვისწავლოთ (მე-2 გვერდი).

ვ. ცირეკიძე. — ჩქარფრენელ ათრის — ტანი (მე-3 გვერდი).

ლენინის რაიონში [illegible] და გარდაიქმნას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ყოველთვის ვიყოთ მასების შუაგულში

ჩვენ მოწმენი ვართ ხალხის ფართო მასების აქტივობის სწრაფი ზრდისა, რომელიც გამოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა. მშრომელი საბჭოთა ადამიანი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ იგი არის ისტორიის ნამდვილი შემოქმედი, იმ პროგრესის გადამწყვეტი ძალა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის ინტერესები მათი უშუალო შრომითი ფუნქციებით როდი განისაზღვრება. რაკი თავი ქვეყნის ბატონ-პატრონად მიაჩნიათ, ისინი არ იშურებენ ძალღონეს, რათა ხელი შეუწყონ ჩვენს საერთო წინსვლას, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, დაძლიონ სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომლებიც ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს.

ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის პირობებში ჩვენს ქვეყანაში განუზომლად გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მასებში მუშაობისათვის. უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა მათ წინაშე მდგომი ახალი ამოცანების სიმაღლეზე აღმოჩნდა, მათ გააძლიერეს კავშირი მასებთან, თავიანთი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა მასებში.

ეს გასაგებიც არის, რადგან ჩვენი პარტიის წევრები იზრდებოდნენ და იზრდებიან ვ. ი. ლენინის იმ ცნობილი მითითების სულისკვეთებით, რომ კომუნისტები „...უნდა ტრიალებდნენ მუშათა ცხოვრების შუაგულში, უნდა იცნობდნენ მას მთელი სიგრძე-სიგანით, ...უნდა შეხწევდეთ უნარი უტყუარად გაარკვიონ ყოველ საკითხსა და ყოველ მომენტში მასის განწყობილება, მისი ნამდვილი მისწრაფებანი, მოთხოვნილებანი, აზრი, შესწევდეთ უნარი, ოდნავი ყალბი იდეალიზაციის გარეშე, გაარკვიონ მისი შეგნებულობის დონე და ამა თუ იმ ცრურწმენის და ძველი დროის ნაშთების გავლენის ძალა, შესწევდეთ უნარი მოიპოვონ მასის უსაზღვრო ნდობა მისდამი ამხანაგური დამოკიდებულებით, მის საჭიროებათა მზრუნველობით დაკმაყოფილებით“.

ამჟამად მთავრდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში და მიმდინარეობს რაიონსული და საქალაქო პარტიული კონფერენციები. კომუნისტები ღრმა ანალიზს უკეთებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის გამოცდილებას, ყოველმხრივ განიხილავენ მორიგ ამოცანებს. პირველ პლანზე წამოყენებულია მოთხოვნა, რომ საჭიროა მშრომელთა ფართო მასებთან პარტიული ორგანოების კავშირის შემდგომი განმტკიცება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს ჰყავთ მრავალრიცხოვანი კადრები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ლენინურად იმუშაონ მასებში. ისინი გაბედულად და გადაკრით აღმოფხვრიან პრაქტიკიდან ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდებს, რომლებიც დაგმო პარტიის XX ყრილობამ.

აი ახლებურად მუშაობის ერთი მრავალთაგანი მაგალითი. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ლივნის რაიონში მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ჰქონდა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ორიოლის ოლქის ბევრ სხვა რაიონსაც ახასიათებს. პარტიის XX ყრილობის შემდეგ რაიკომმა განახორციელა ღონისძიებანი თავისი მუშაობის გარდასაქმნელად მასებთან კავშირის განმტკიცების მიზნით. ამასთან მართებულად მიექცა ყურადღება რაიკომის ინსტრუქტორის როლის გაძლიერებას, ინსტრუქტორისა, რომელიც მუდამ მშრომელთა შუაგულში უნდა იყოს, ყველაფერში უნდა გამოდიოდეს არა მარტო როგორც დაკვირვებული მრჩეველი, არამედ აგრეთვე როგორც მებრძოლი ორგანიზატორი.

ასეთია, მაგალითად, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი რეჩიცის მტს-ის ზონაში ამხ. გონჩაროვი. რაიკომმა ჩაბარა მას ორი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. ინსტრუქტორმა ურჩია კომუნისტებს, თუ როგორ აჯობებდა პარტიული ძალების განაწილება. ბევრი მათგანი მუდმივ საშუშაოზე გაიგზავნა მემინდვრეობის ბრიგადებში. ბევრი რამ გაკეთდა პარტიული კრებების ჩატარების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

რაიკომის ინსტრუქტორი დაეხმარა პარტორგანიზაციას კომუნისტებისა და საკოლმეურნეო აქტივისათვის აღეძრა ინტერესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის საკითხებისადმი, ჩაება კოლმეურნეები პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის დანახარჯების შემცირებისათვის ბრძოლაში. ამხ. გონჩაროვმა ორივე კოლმეურნეობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გამომუშავების ნორმების გადასინჯვაში, შრომის დამატებითი ანაზღაურების უფრო მოქნილი სისტემის შემუშავებაში, ხელი შეუწყო კომპლექსური ბრიგადების შექმნას, რამაც შესაძლებელი გახადა უნაყოფო ხარჯების შემცირება. ამავე დროს განხორციელებულ იქნა ღონისძიებანი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად. და აი წინათ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში წყაროსავით აჩქეფდა ცხოვრება, საუკეთესო ადამიანები პარტიაში შევიდნენ, ამოძრავდა ყველა მშრომელი. ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა არტელის საქმეებზე.

მაგრამ მავნე თავმოყვარეობა იქნება არ დავინახოთ, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში მეტად ნელა მიმდინარეობს მუშაობის გარდაქმნა ახალი მოთხოვნების შესაბამისად. პარტიულ მუშაკთა შორის ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც ჯიუტად ებღაუჭებიან ხელმძღვანელობის ძველ, დრომოჭმულ მეთოდებს, ჯერ კიდევ სჯერათ ქაღალდის ყოვლისმმსნელი ძალა, ყოველი საბაბით გაურბიან მასებთან შეხვედრას და, რა თქმა უნდა, ხშირად სხვადასხვაგვარი მოულოდნელობის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე.

რაღა საკვირველია ამის შემდეგ, რომ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე ასეთ ხელმძღვანელებს მკვეთრად, მაგრამ სამართლიანად აკრიტიკებენ. რა თქმა უნდა, ესენი ყოველთვის ცუდი კომუნისტები როდი არიან; ბევრ მათგანს ძნელ პირობებში არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი ერთგულება პარტიისადმი, ადამიანებთან მუშაობის უნარი. და თუ დღეს მათ აკრიტიკებენ, ამას იმიტომ შვრებიან, რომ დაეხმარონ რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და ყურადღება მიაქციონ ახალ ამოცანებს.

„პრავდის“ რედაქციამ მიიღო ვლადიმირის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატის, სატრაქტორო ქარხნის მოტორთა გამომცდელის ამხ. გრიგორიევის წერილი, რომელიც დღეს ქვეყნდება. წერილის ავტორი მართებულად აკრიტიკებს პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. ფილიპოვს იმის გამო, რომ მისი საანგარიშო მოხსენება კონფერენციაზე ამოიწურა ქალაქის საქმის ვითარების ზერელე, ერთფეროვანი მიმოხილვით.

კონფერენციის დელეგატებმა თქვეს, რომ ვლადიმირის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელები, რომლებიც შეეჩვიენენ თავიანთ დაწესებულებაში ჯდომას და საწარმოების თითო წუთით ჩამოვლას, ვერ იცნობენ საწარმოო პირობებს, დაუკვირვებლად, მოხსენებითი ბარათებისა და ცნობების მიბედვით განსჯიან ქარხნების საქმეებს, პირადად არ ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას მასებში, ბოლომდე არ ასრულებენ საქალაქო კომიტეტის დირექტივებს.

მასების შუაგულში ყოფნა იმას ნიშნავს, რომ არა მარტო სისტემატურად იარო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, არამედ იმასაც, რომ ჯეროვნად იცნობდე ცხოვრებას, იცნობდე ადამიანთა განწყობილებას, მათს საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, მეთაურობდე მასებს. ცოდვა გამოდგებაული სჯობს: ჩვენში არიან მუშაკები, რომლებიც მასებთან ნამდვილ კავშირს მოჩვენებითი კავშირით ცვლიან. ასეთ მუშაკებს ხშირად შეხვდებით სხვადასხვაგვარი კრებებისა და თათბირების პრეზიდიუმებში. ისინი, თუ შემოხვევა მიეცათ, დეკლარაციულ სიტყვასაც წარმოთქვამენ. მაგრამ ასეთ ადამიანებს არ შეუძლიათ ნამდვილი გავლენა მოახდინონ საქმის ვითარებაზე, რადგან ცხოვრება მათი გვერდის ავლით მიემართება.

განსაკუთრებით დიდია კომუნისტების მოთხოვნები თავიანთი ხელმძღვანელებისადმი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შეიძლება შევნელოთ მომთხოვნელობა რიგითი კომუნისტებისადმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება განსაზღვრავს პარტიის თვითეული წევრის არა მარტო უფლებებს, არამედ მოვალეობასაც. კომუნისტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, ის არის, რომ ყოველდღიურად განამტკიცოს კავშირი მასებთან, დროზე გამოიხმაუროს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, განუმარტოს უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა აზრი. ამიტომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ ცალკეული კომუნისტები უდისციპლინობას იჩენენ, კუდში მისჩანჩალებენ მოვლენებს. ყოველი კომუნისტი უნდა იყოს პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აქტიური მებრძოლი, მასების ორგანიზატორი და წინამძღოლი, იგი შემრიგებლურად ვერ მოეკიდება უცხო გავლენათა რაიმე გამოვლინებას.

დარწმუნება მასებში პარტიის მუშაობის ძირითადი მეთოდია. საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია ჩვენს ქვეყანაში, რაც ხორციელდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოსახლეობის ყველა ფენაში — მუშებში, კოლმეურნეებში, ინტელიგენციაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. საჭიროა მტკიცედ და ბეჯითად განვუმარტოთ მშრომელებს იმ მოვლენების აზრი, რომლებიც მსოფლიოში ხდება, ვამხილოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებანი, შთავაგონოთ და დავრაზმოთ ადამიანები ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად. საჭიროა, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები უფრო ხშირად კითხულობდნენ ლექციებსა და მოხსენებებს მშრომელთათვის, უფრო ხშირად ესაუბრებოდნენ მათ საინტერესო საკითხებზე, გულისხმიერად ეკიდებოდნენ ქვემოდან კრიტიკას, უბრალო ადამიანთა საქმიან რჩევას.

მასებთან ურღვევი კავშირის შემდგომი განმტკიცება ყველა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის საარსებო ამოცანაა. რაც უფრო მჭიდრო და მტკიცე იქნება მათი კავშირი მასებთან, მით უფრო წარმატებით გადაწყვეტენ ისინი იმ ამოცანებს, რომლებიც მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაუსახა.

„პრავდის“ 8/XII მოწინავე.

ეიმენის მეფის იმამ აჰმედის დეპეშა მის აღმატებულებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ-ნ კ. ე. ვოროშილოვს

მოსკოვი, კრემლი

გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ, ეროვნული დღესასწაულის გამო თავაზიანი მოლოცვისათვის. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ კეთილშობილურ და კეთილ გრძნობებს, რომლებითაც თქვენი აღმატებულება და დიდი საბჭოთა ხალხი გვეპყრობით ჩვენ, ჩვენს ხალხსა და საყოველთაო მშვიდობის საქმეს.

ვუსურვებთ თქვენს აღმატებულებასა და საბჭოთა ხალხს შემდგომ კეთილდღეობასა და აყვავებას.

ჩვენი მთავრობა სავსებით იზიარებს თქვენი აღმატებულების მთავრობის აზრს, რომ ურთიერთგაგება, თანამშრომლობა, გულწრფელი მეგობრობის განმტკიცება ჩვენს ქვეყნებს შორის ხელს შეუწყობს ჩვენი ურთიერთობის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეს და აგრესიული მოქმედების თავიდან აცილების საქმეს ევროპის ერების ორგანიზაციის წესდების, აგრეთვე ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ჩვენ და ეიმენის ხალხი სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ მეგობრობა, რომელსაც საფუძველი ჩვენმა ხელმეკრულებებმა ჩაუყარეს, კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებაზე და, თუ ღმერთი ინებებს, ყველას საგრძნობ სარგებლობას მოუტანს.

ეიმენის მეფე იმამი აჰმედი.

ჰოდეიდა, ეიმენი, 1956 წ. 5 დეკემბერი.

წერილების გაცვლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინსა და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჰ. ს. სუჰრავარდის შორის

6 ნოემბერს პაკისტანის საელჩომ მოსკოვში გადასცა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჰ. ს. სუჰრავარდის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ პაკისტანის მთავრობამ გადაჭრით დაგმო საფრანგეთ-ბრიტანეთის აგრესია ეგვიპტეში, ისევე როგორც აგრესია, რომელიც ისრაელმა ჩაიდინა.

წერილში ამავე დროს აღძრულია საკითხი უნგრეთის ამბების შესახებ. ამასთან მოცემულია ამ ამბების შეფასება, რომელიც ეწინააღმდეგება ფაქტებსა და ნამდვილ მდგომარეობას.

16 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. ტ. ფედორენკომ პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის ელჩს ა. ჰუსეინს გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის საპასუხო წერილი პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჰ. ს. სუჰრავარდისადმი, რომლის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი პაკისტანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჰ. ს. სუჰრავარდისადმი

მოსკოვი, კრემლი — 1956 წლის 15 ნოემბერი.

პატივცემულო ბ-ნო პრემიერ-მინისტრო,

მივიღე თქვენი 1956 წლის 6 ნოემბრის წერილი, რომელიც ეხება მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში და უნგრეთის ამბებს.

სსრ კავშირის მთავრობა აღნიშნავს, რომ პაკისტანის მთავრობამ, როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, დაგმო ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის სახელმწიფოს აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებმა, დაადგნენ რა აგრესიის გზას, აშკარად ფეხქვეშ გათელეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და, ცდილობდნენ რა აღედგინათ კოლონიური ბატონობა ახლო აღმოსავლეთში, თავიანთი შეიარაღებული ძალებით შეიჭრნენ ეგვიპტის ტერიტორიაზე და უდიდესი უბედურება მოუტანეს ეგვიპტის ხალხს. მხოლოდ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, რომელმაც დაგმო აგრესიული ომი ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ, აგრესორები იძულებული გახდნენ შეეჩერებინათ სომარი მოქმედება.

რაც შეეხება თქვენ მიერ აღძრულ საკითხს უნგრეთის ამბების შესახებ, საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხში ამომწურავი სისრულით იყო ჩამოყალიბებული 1956 წლის 31 ოქტომბერს ფართოდ გამოქვეყნებულ „სსრ კავშირის მთავრობის დეკლარაციაში საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ“.

უნგრეთის ამასწინანდელი ამბების საკითხი ამ ქვეყნის საშინაო საქმეა და მთლიანად შეადგენს უნგრეთის კანონიერი მთავრობის კომპეტენციას, რომლის თხოვნით საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც უნგრეთში არიან ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად, საჭირო დახმარება გაუწიეს წესრიგის აღდგენაში, რომელიც რეაქციულმა ელემენტებმა დაარღვიეს უნგრეთში გარკვეული იმპერიალისტური ძალების წაქეზებით და ხელშეწყობით.

ყოველგვარი ცდა უნგრეთის ამბების დამახინჯებულად განმარტებისა, რასაც ზოგჯერ აძლევენ ამ ამბებს, და მისწრაფება აშკარად დამახინჯებული სახით წარმოადგინონ ეს ამბები, შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ როგორც სურვილი ჩამოაშორონ ხალხების ყურადღება ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიას ახლო აღმოსავლეთში.

პატივისცემით თქვენდამი

ნ. ბულგანინი.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ირანის ელჩი ა. მასუდ-ანსარი

8 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. მასუდ-ანსარი და საუბარი ჰქონდა მასთან. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იზაბელა ბლუმი

8 დეკემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ცნობილი ბელგიელი საზოგადო მოღვაწე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანი, საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი იზაბელა ბლუმი და ესაუბრა მას მშვიდობისათვის ბრძოლის პერსპექტივებზე. (საკდესი).

მწყობრში ჩადგა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურ-მოსკოვის ელექტროგადაცემის ჩრდილოეთის ჯაჭვი

ასამუშავებელ-ასაწყობ და საკვლევ სამუშაოთა კომპლექსის განხორციელების შემდეგ მწყობრში ჩადგა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურ-მოსკოვის შორეული ელექტროგადაცემის ჩრდილოეთის ჯაჭვი. როგორც სამხრეთის ჯაჭვი, ჩრდილოეთის ჯაჭვიც გაივლის ულიანოვსკს, არზამასს, ვლადიმირს. დედაქალაქის მახლობლად დაბა ბესკუდნიკოვოში აგებულია ქვესადგური. კუიბიშევის ჰესის ენერგია გადაეცემა 400 ათასი ვოლტის ძაბვით, ხოლო ბესკუდნიკოვოს ქვესადგურში ძაბვა მცირდება 110 ათას ვოლტამდე.

ჩრდილოეთის ჯაჭვის სიგრძე 891 კილომეტრია. ამას გარდა, ჩართულია ხაზი, რომელიც ბესკუდნიკოვოს ქვესადგურს აკავშირებს ნოგინსკის ქვესადგურთან (სამხრეთის ჯაჭვი).

ჩრდილოეთის ჯაჭვის აგებისას დიდი სამუშაოები განხორციელდა. დადგმულია 30 მეტრი სიმაღლის ორი ათასზე მეტი ლითონის საყრდენი, გაყვანილია დიდი კვეთის 18 ათასი ტონა ფოლადალუმინის სადენი. ქიგულის რაიონში განხორციელდა გადასვლა უსინის წყალსაცავზე — მანძილი აქ 1.100 მეტრს აღწევს.

სამხრეთის ჯაჭვის გამტარუნარიანობა 500 ათასი კილოვატია. იგი მყარად მუშაობს და, როგორც უკვე იტყობინებოდნენ, ნახევარი წლის განმავლობაში ამ ჯაჭვით მოსკოვს გადაეცა მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რომელიც კუიბიშევის ჰესმა გამომუშავა. ჩრდილოეთის ჯაჭვის ამუშავებით ელექტროგადაცემის გამტარუნარიანობა 900 ათას კილოვატამდე გადიდდება, ხოლო შემდგომში აყვანილ იქნება 1.150 ათას კილოვატამდე. კუიბიშევის ჰესი დენს აძლევს ცენტრალურ ენერგეტიკულ სისტემას, რომელიც აერთიანებს მოსკოვის, ივანოვოს, იაროსლავლის, გორკის ენერგოსისტემებს. (საკდესი).

ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

მუშაობა დაამთავრა 1956 წლის სრულიად საკავშირო სამრეწველო გამოფენამ. გამოფენის დირექტორმა ამხ. ვ. ე. ნოვაკოვსკიმ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ნახევარი წლის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა ექვს მილიონამდე კაცმა. ისინი გაეცნენ სოციალისტური ინდუსტრიის მიღწევებს, მისი განვითარების პერსპექტივებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. პავილიონებში წარმოდგენილი იყო საბჭოთა წარმოების სამი ათასზე მეტი მანქანა, ჩარხი და ხელსაწყო, იგი ასახავდა უახლეს ტექნოლოგიურ პროცესებს. ნაჩვენები იყო გამოგონებანი და გაუმჯობესებანი, რასაც სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ექსპონატებმა, რომლებიც ასახავენ ჩვენს მიღწევებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში. (საკდესი).

ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲒᲑᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲨᲘ

— ჩვენი რაიონის სოფელ ქანაქერის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა 1938 წლიდან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული თქვენი რაიონის სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „პობედასთან“. ამ ღონისძიებამ უფრო განამტკიცა ორი მოძმე ხალხის მეგობრობა და აღაფრთოვანა ისინი ახალი შრომითი აღმავლობისათვის. ისევე, როგორც თქვენს რაიონში, ჩვენს რაიონში კარგად ხარობს თავთავიანი მარცვლეული კულტურები, ვაზი, თამბაქო; კარგად არის განვითარებული საზოგადოებრივი მეცხოველეობა. წარმატებით ჩავატარეთ საშემოდგომო თესვა. დავთესეთ 430 ჰექტარი საშემოდგომო კულტურები.

ჩვენ შრომის ერთნაირი პირობები გვაქვს. ამიტომ გთხოვთ ჩამოხვიდეთ ჩვენთან, გაეცნოთ ჩვენს მუშაობას, გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. — ასე სწერდნენ მიმდინარე წლის ოქტომბერში სომხეთის სსრ კოტაიკის რაიონის სოფელ ელღოიანის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ბოლნისის რაიონის დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს.

სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით 28 ნოემბერს კოტაიკის რაიონში ჩავიდა დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა დელეგაცია, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი შ. ქუტიძე ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ხიდაშელი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი აგროტექნიკოსი ლ. რეხვიაშვილი, ფერმის გამგე მ. ბერძენაძე, ბრიგადირები ა. ბაქრაძე და ი. უგრეხელიძე და სხვ., სულ 18 კაცი.

სადღესასწაულოდ გაფორმებულ სოფლის შესასვლელში ქართველთა დელეგაციას გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ელღოიანელმა კოლმეურნეებმა. ბოლნისელმა კოლმეურნეებმა მათ საზეიმო ვითარებაში საჩუქრად გადასცეს მერინოსის ჯიშის ორი ცხვარი. დელეგაციის წევრებს სომეხმა კოლმეურნეებმა დაათვალიერებინეს თამბაქოს საშრობი ფარდულები. აქ სტუმრებს ბრიგადირმა ა. კარაპეტიანმა გააცნო თავისი მუშაობის მეთოდები. მან ბოლნისელებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი თამბაქო გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერის ნაცვლად. შემდეგ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს კოლმეურნეობის ბაღები და ვენახები.

დელეგაციის წევრებში დიდი ინტერესი გამოიწვია ფერმის დათვალიერებამ. ფერმაში ყველა შრომატევადი სამუშაო მექანიზებულია. ფერმის გამგე ა. შაგინიანი სტუმრებს ესაუბრა საკვები ბაზის შექმნაზე. მან განაცხადა, რომ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე დამზადებული აქვთ 6 ტონა თივა, 5 ტონა სილოსი, 1 ტონაზე მეტი საკვები ჭარხალი, ნახევარი ტონა ქერი და დიდი რაოდენობით ნამჯა. თავის გამოცდილებაზე ილაპარაკა მოწინავე მწველავმა ს. ოვსეპიანმა. მას 68 წელი შეუსრულდა და 26 წელია მწველავად მუშაობს. იგი 10 ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშის ძროხას უვლის და გასულ წელს თვითეულ ძროხაზე მიიღო 2.500 კილოგრამი რძე.

29 ნოემბერს ელღოიანის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში შედგა კოლმეურნეთა კრება, მიძღვნილი ბოლნისელ და ელღოიანელ კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობისადმი.

კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. ზაქარიანმა კოლმეურნეთა სახელით დამსწრეთ გააცნო სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი. სიტყვები წარმოთქვეს ფერმის გამგემ ა. შაგინიანმა, მერგოლურმა რ. ბაღდასარიანმა, კოლმეურნე გ. საიადიანმა.

ბოლნისელ კოლმეურნეთა დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ხიდაშელმა. მან სომეხ კოლმეურნეებს გააცნო ბოლნისელ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი.

ბოლნისელ კოლმეურნეთა დელეგაციის ჩასვლა კოტაიკის რაიონში დაემთხვა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავს. ამ თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ქართველ კოლმეურნეთა დელეგაცია მიიპატიჟეს. საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

30 ნოემბერს დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ერევნის ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვივნენ ძველ ისტორიულ ქალაქს ეჩმიაძინს. საღამოთი იყვნენ ერევნის სუნდუკიანის სახელობის დრამატულ თეატრში.

მოძმე სომხეთიდან ბოლნისელთა დელეგაცია დიდად კმაყოფილი დაბრუნდა. ეს მეგობრობა ხელს შეუწყობს ორივე კოლმეურნეობის შემდგომ სამეურნეო წარმატებებს.

ქართველმა სტუმრებმა სომეხ მეგობრებს სთხოვეს მომავალი წლის იანვარ-თებერვალში ჩამოვიდნენ ბოლნისში.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ქართველ კოლმეურნეთა დელეგაციის შეხვედრა ელღოიანელ კოლმეურნეებთან.

ფოტო რ. გეორქიანისა.

შევისწავლოთ და ფართოდ დავნერგოთ სტავროპოლელ მეფრინველეთა ძვირფასი გამოცდილება

მეფრინველეობა გადავაქციოთ სოფლის მეურნეობის რენტაბელურ დარგად

ამ დღეებში სტავროპოლის მხარიდან დაბრუნდა საქართველოს მეფრინველეთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო 38 კაცი. დელეგაციის წევრები რამდენიმე ხნის განმავლობაში ეცნობოდნენ მხარის მოწინავე კოლმეურნეობათა მიღწევებს მეცხოველეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — მეფრინველეობის განვითარების საქმეში.

სტავროპოლში გატარებულმა დღეებმა ქართველ მეფრინველეებს გაუმტკიცა იმის რწმენა, რომ მეფრინველეობა ჩვენს რესპუბლიკაში ახლო მომავალში შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანი, რენტაბელური დარგი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია სტავროპოლელ მეფრინველეთა მდიდარ გამოცდილებაზე, აგრეთვე საქართველოს დელეგაციის ზოგიერთი წევრის აზრს ამასთან დაკავშირებით.

როგორ ვაღწევთ მაღალ კვერცხმდებლობას

დილის 6 საათია. ჩვენი კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფაბრიკის დიდ და ნათელ კორპუსში ილიჩის ნათურები აენთო. ელექტროშუქმა გაანათა ყველა ბატარეა. სამარისებური სიჩუმე, რაც შენობაში მეფობდა ღამით, სწრაფად შეცვალა ქათმების კაკანმა. ამ დროს ჩვენ, მეფრინველეები, სამუშაოდ მოვდივართ.



ნ. ანდრონოვა.

• • •

ვიცვამ რუხ სამუშაო ხალათს და დაუყოვნებლივ ვიწყებ მოვალეობის შესრულებას. ყურადღებით ვათვალიერებ გალიაში მოთავსებულ ყოველ ქათამს, ვსწავლობ მათს ქცევას ბატარეის სხვადასხვა სართულზე. შემდეგ ვუშვებ წყალს და ვიწყებ სარწყულებლების რეცხვას. ამაზე ვხარჯავ არაუმეტეს 40 წუთისა.

საათი 6 საათსა და 40 წუთს უჩვენებს. დადგა ფრინველის პირველი კვების დრო. ვიღებ სპეციალურ სამზარეულოში მომზადებულ მაღალხარისხოვან საკვებს და მივემართები საკვებურებისაკენ. ამჯერად თვითეულ ქათამს ვაძლევ 10 გრამ სიმინდს, 5 გრამ გაალაოებულ ქერს და ამდენსავე შვრიას, 0,5 გრამ თევზის ქონს. თითს ვაჭერ ღილს, და საკვებური ავტომატურად იწყებს მოძრაობას ბატარეების გასწვრივ, ხუთ-ხუთ წუთს ჩერდება ყოველ ხუთ ქათამთან.

ფრინველს ვკვებავთ დღეში ხუთჯერ და ყოველთვის საკვებურში ვყრით საკვების ახალ და ახალ სახეს. მაგალითად, ფრინველის მეორე კვებაზე, რაც დილის 9 საათზე იწყება, თვითეულ დედალს ვაძლევთ 7 გრამ კომბინირებულ საკვებს, 3 გრამ დაბეგვილ სიმინდს, ამდენსავე მარცვლეულის ქატოს, 2 გრამ კოპტონს, 2 გრამ ძვალხორცის ფქვილს, 10 გრამ მოხდილ რძეს, 10 გრამ გოგრას, 3 გრამ დურდოს, 2 გრამ ტრავერტინს, 0,08 გრამ სუფრის ძარილს, 2 გრამ ჰიდროლიზურ საფუარს და სხვ.

ულუფა იცვლება შემდგომი კვების დროსაც. სადღეღამისო ულუფაში შედის 25 სახის საკვები.

ფრინველს სჭირდება მოვლა განსაკუთრებით გალიაში. თუ თავისუფალი შენახვისას მას შეუძლია ბუნებაში დამატებით მიაგნოს საკვებსა და წყალს, გალიაში იგი მოკლებულია ამ შესაძლებლობებს და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. ვითვალისწინებ რა ამას, მთელ დღეს არ ვშორდები ფრინველს: ხან საკვებურებს ვასწორებ, ხან წყალს ვუშვებ სარწყულებლებში, ხანაც წესრიგზე მომყავს სამუშაო ადგილი, ვაგროვებ კვერცხს, ვფუთავ მას ყუთებში და საწყობს ვაბარებ.

კორპუსში ელექტროშუქი 20 საათამდე ანთია. ამით ჩვენ ზამთარში, როცა ყველაზე მოკლე დღეებია, ფრინველის სამუშაო დღეს 14 საათამდე ვაგრძელებთ და ვამატებთ ქათმების კვერცხმდებლობას. მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს მთლიანად მეფრინველეობის ფაბრიკაში ითვითეულ დედალზე მიღებულ იქნა 140 ცალი კვერცხი, ხოლო მე ყოველ ქათამზე მივიღე 174 კვერცხი.

მაგრამ ეს ზღვრად არ ითვლება. მიმდინარე სამეურნეო წელს ვეცდები გამოვნახო ახალი გზები ქათმის კვერცხმდებლობის ასამაღლებლად.

ნადეჟდა ანდრონოვა,
ქ. ესენტუკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველე, სოციალისტური შრომის გმირი.

ციფრები და ფაქტები

◎ მხარის 247 კოლმეურნეობას ჰყავს 4.080 ათასი ფრთა ფრინველი. ეს 1.100 ათასი ფრთით სჭარბობს წინა წლის მაჩვენებელს.

◎ 1950 წელს მხარის მეფრინველეობის საინკუბაციო სადგურებმა გამოიყვანეს 6.997 ათასი წიწილა, 1955 წელს — 12.741 ათასი, 1956 წელს — 15.971 ათასი.

◎ 1950 წელს მიღებული იყო 5.433 ათასი მოზარდი, 1955 წელს — 10.312 ათასი, 1956 წელს — 12.759 ათასი.

◎ წელს მხარის 3 კოლმეურნეობას აქვს გალიური შენახვის 3 ფერმა თვითეული 40 ათასი კვერცხმდებელი ქათმისათვის. 1960 წელს ასეთი ფერმა ექნება 60 კოლმეურნეობას, 20-ათასიანი — 70 კოლმეურნეობას, 10-ათასიანი — 41 კოლმეურნეობას.

◎ 1950 წლიდან 1956 წლამდე მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კვერცხის საერთო წარმოება გაიზარდა 19.228 ათასიდან — 86.676 ათას ცალამდე, ხოლო თვითეული ქათმის პროდუქტიულობა საშუალოდ 38-დან 81 კვერცხამდე.

დიდშემოსავლიანი დარგი



ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, ქ. ესენტუკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მეცხოველეობის სხვა დარგებთან ერთად მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მეფრინველეობის ინტენსიურ განვითარებას. თუ 1955 წელს კოლმეურნეობაში ითვლებოდა 24.929 ფრთა ფრინველი, მათ შორის 10.527 კვერცხმდებელი ქათამი, ახლა გვყავს 46.500 ფრთა, რომელთა შორის 15 ათასი კვერცხმდებელია. მეფრინველეობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2 მილიონი მანეთი შეადგინა.

მეფრინველეობის მექანიზებული ფაბრიკის პირველი კორპუსის მშენებლობის დამთავრებამ საშუალება მოგვცა მეცხოველეობაში გასულ სამეურნეო წელს გალიური წესით შენახული 14 ათასი კვერცხმდებელი ქათმიდან მიგვეღო 1.986.816 კვერცხი 1954-1955 სამეურნეო წელს მიღებული 1.172 ათასი კვერცხის ნაცვლად. თვითეულ დედალზე მიღებულია 140 კვერცხი 1955 წელს მიღებული 110-ის ნაცვლად. 1955 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა და მიჰყიდა 170 ათასი კვერცხი, 1956 წელს კი 406 ათასი.

კოლმეურნეობა წელს შეუდგა მეფრინველეობის ფაბრიკის მეორე კორპუსის მშენებლობას. გალიური შენახვის 20 ათასი ფრინველისათვის. შენდება აგრეთვე წიწილების გაზრდის საამქრო 63 ათასი ფრთისათვის. ორივე ეს მშენებლობა მომავალი წლისათვის დამთავრდება.

წლის განმავლობაში ფაბრიკა მოგვცემს 6-7 მილიონ კვერცხს და 250 ტონა ფრინვლის ხორცს, რაც მთლიანად აანაზღაურებს მის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს.

მეფრინველეობის ფაბრიკამ შეაძლებლობა მოგვცა აგვემაღლებინა შრომის ნაყოფიერება, შეგვემცირებინა შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე და ამით გაგვეიაფებინა პროდუქცია. თუ თავისუფალი შენახვის დროს თვითეული მეფრინველე 1.000 ქათამს უვლიდა, გალიური შენახვის დროს უვლის 3.000 ფრთას. 50 კაციკით შემცირდა ათეული კვერცხის წარმოების თვითღირებულება, იგი ახლა 4 მანეთი ჯდება.

მეფრინველეთათვის მოსავლელად მიჩენილი ქათმების სულადობის გადიდებამ ამ საქმიდან არა მარტო გაათავისუფლა 30 კოლმეურნე, არამედ აამაღლა მეფრინველეობის ფაბრიკაში მომუშავეთა შრომადღეების გამომუშავებაც. შრომადღეების დარიცხვა წარმოებს მიღებული პროდუქციის რაოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, კოლმეურნეობის გამგეობა მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაკებს ურიცხავს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით გეგმის ზევით მიღებული კვერცხის 50 პროცენტს, იმ პირობით, თუ პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული შრომისა და მატერიალური საშუალებების დანახარჯები გეგმიანს არ აღემატება.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ ვადაზე 3 წლით ადრე — 1957 წლისათვის — ორმაგად შეასრულონ 1960 წლის პერსპექტიული გეგმის მაჩვენებლები კვერცხის წარმოების დარგში.



ი. სიდორენკო,
ქ. ესენტუკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სურათებზე: ქ. ესენტუკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის მექანიზებული ფერმის საერთო და შიდა ხედები.

აი რა მოგვცა ფრინვლის გალიურმა შენახვამ

შარშანდლამდე კოლმეურნეობაში ფრინველის გალიებში შენახვას არ მივდევდით. ეს საქმე ჩვენთვის სრულიად ახალი იყო. ამიტომ ჯერ კიდევ საკოლმეურნეო მეფრინველეობის მექანიზებული ფერმის მშენებლობის დამთავრებამდე უწინარეს ყოვლისა ვიზრუნეთ საჭირო კადრების მომზადებისათვის. გალიებში ფრინველის შენახვისა და კვების გამოცდილების ჯთვისების მიზნით კოლმეურნეობამ მოსკოვის ოლქის მეფრინველეობის ფაბრიკებში გაგზავნა ფერმის გამგე, ზოოტექნიკოსი რ. ფილიპოვიჩი და მოწინავე მეფრინველეები.

დიდი ყურადღება მიგაქციეთ აგრეთვე კარგი სრულფასოვანი მოზარდეულის გაზრდას გალიებში ჩასასმელად.

როგორია ფრინველის გალიური შენახვის ეკონომიური ეფექტი? მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დამთავრებისათვის — 1 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობამ გალიური შენახვისას 11.500 დედლიდან მიიღო 1.783.000 კვერცხი, ანუ საშუალოდ ერთზე 153 კვერცხი, მაშინ როცა თავისუფალ შენახვაზე მყოფი თვითეული დედლიდან საშუალოდ მიღებული იყო 134 კვერცხი. წლის განმავლობაში ყოველ 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე წარმოებულ იქნა 86.637 კვერცხი, ანუ ერთიორად და უფრო მეტი, ვიდრე მიღებული იყო 1955 სამეურნეო წელს. შრომის დანახარჯებმა 100 კვერცხის წარმოებაზე მეფრინველეობის მექანიზებულ ფერმაში შეადგინა 0,4 შრომადღე, მაშინ როცა თავისუფალი შენახვის დროს იხარჯებოდა 2,2 შრომადღე. მნიშვნელოვნად შემცირდა 10 კვერცხის წარმოებაზე დახარჯული საკვების ღირებულება. გალიური შენახვის დროს იგი შეადგენს საშუალოდ 2 მანეთსა და 36 კაპიკს, მაშინ როცა თავისუფალი შენახვისას 2 მანეთი და 80 კაპიკია.

1955-1956 სამეურნეო წელს კოლმეურნეობამ მეფრინველეობიდან მიიღო 1,5 მილიონი მანეთი, ანუ თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე 1954-1955 სამეურნეო წელს განმავლობაში. 1956 წლის 8 თვის მანძილზე მეფრინველეობიდან მიღებული შემოსავლით თითქმის ავანაზღაურეთ ის ხარჯები, რაც მექანიზებული ფერმის მშენებლობაზე გავიღეთ.

კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი. მილიონნახევარი კვერცხის წარმოებაზე ფრინვლის თავისუფალი შენახვის დროს კოლმეურნეობას სჭირდებოდა 3.598 ცენტნერი კონცენტრირებული საკვები, გალიური შენახვის დროს კი დასჭირდა მხოლოდ 2.786 ცენტნერი, ანუ 812 ცენტნერით ნაკლები.

ვლაპარაკობთ რა ფრინვლის გალიური შენახვის ყველა უპირატესობაზე, არ უნდა დავივიწყოთ უმთავრესი: გალიური შენახვის დროს კოლმეურნეობებს შეუძლიათ მიაწოდონ ქვერცხი ქალაქის მოსახლეობას ზამთრის თვეებშიც, როცა კვერცხის წარმოება ჩვეულებრივ მცირდება.

ღრმად დავრწმუნდით რა ფრინვლის გალიური შენახვის უპირატესობაში, 1957 წელს კოლმეურნეობა საექსპლოატაციოდ გადასცემს მეფრინველეობის მექანიზებული ფერმის მეორე რიგს. მაშინ გალიურ შენახვაზე გვეყოლება უკვე 25 ათასი ფრთა ქათამი. ფერმასთან შენდება მოზარდეულის გაზრდის საამქრო გალიური შენახვის კვერცხმდებელი დედლების გუნდის შესავსებად. გვეყოლება აგრეთვე ფრინველის სანაშენო გუნდი 5 ათასი ფრთის რაოდენობით.

უახლოეს ერთ-ორ წელიწადში მივაღწევთ უფრო მეტ წარმატებებს კვერცხისა და ფრინვლის ხორცის წარმოებაში და ამით ჩვენს წვლილს შეგიტანთ სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

ტ. სკრიპნიკი,
ქ. სტავროპოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ასე ვუვლით მოზარდეულს

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობა „პროლეტარსკაია ვოლიას“ მეცხოველეებმა ზოგიერთი წარმატება მოიპოვეს ფრინვლის მოზარდეულის გაზრდის საქმეში. მათ მიაღწიეს წიწილების შენარჩუნებას 99,3 პროცენტით. 1956 წლის 1 ოქტომბრისათვის ფერმაში ერთდროულად იყო 40 ათასი მოზარდეული. ამ სულადობას ეზრდიდით 600 კვადრატული მეტრი ფართობის შენობაში სამ პარტიად. შენობა დაყოფილი იყო 12 სექციად. თვითეული სექციის მოცულობა იყო 48 კვადრატული მეტრი. ყოველ სექციაში ვათავსებდით მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურიდან მიღებულ ერთი დღე-ღამის ასაკის 1.200-1.400 წიწილას, სადაც ისინი იმყოფებოდნენ 2,5 თვემდე ისე, რომ თავისუფლად არ ვუშვებდით. 2,5-დან 5 თვის ასაკამდე წიწილებს ვზრდიდით თავისუფლად (ფარდულს ქვეშ), რის შემდეგ მათ ვსვამდით გალიებში კვერცხის დასადებად.

წიწილების მიღებამდე ორი კვირით ადრე მოზარდეულის გაზრდის საამქროში ჩავატარეთ ინვენტარის გულმოდგინე დეზინფექცია კრეოლინის ორპროცენტიანი ხსნარით და კედლების, იატაკისა და ინვენტარის გამოწვა სარჩილავი ლამპით, სექციებისა და იატაკის შეთეთრება. წიწილების მიღებამდე სამი დღით ადრე კი სექციაში შევიტანეთ ქვეშსაფენი, დავიწყეთ შენობის ორთქლით გათბობა.

წიწილების პირველი პარტია — 18.000 ფრთა მივიღეთ 1956 წლის 21 თებერვალს დილით. დღის ბოლომდე ისინი სამჯერ გამოვკვებეთ.

მოზარდეულის კვება მოწყობილი გვაქვს ზუსტად რაციონის მიხედვით. 5 თვემდე ასაკის მოზარდეულისათვის შემოღებული გვაქვს კვების შემდეგი რეჟიმი: 30 დღის ასაკამდე ვკვებავთ დღეში 7-ჯერ ყოველ 2 საათში ერთხელ, 30-60 დღის ასაკამდე — 6-ჯერ — სამ საათში ერთხელ, 60-დან 150 დღის ასაკამდე — 5-ჯერ; ამასთან დღის განმავლობაში 4-ჯერ ვაძლევთ სველ ნარევს.

ერთი თვის ასაკამდე დაცულია კვების შემდეგნაირი რეჟიმი: დილის 5 საათზე წიწილებს ვკვებავთ კარგად შედედებული დამჟავებული მოხდილი რძით, ერთდროულად საკვებურებზე ვუყრით გაცრილ და განაყებულ სიმინდის ღერღილს (ფეტვის მარცვლის სიმსხოს). მეორე კვება წარმოებს დილის 7 საათზე ხაჭოსა და დამჟავებულ რძესთან ერთად აფშრუკული ფქვილიანი სველი ნარევით, რასაც ვუმატებთ წვრილად დაჭრილ მწვანე ბალახს, ან სტაფილოს.

დილის 9 საათზე ვაძლევთ სიმინდის ღერღილს, 12 საათზე ფქვილისა და ხაჭოს ნარევს ან და მოხარშული ხორცის ნარჩენებს სტაფილოსთან ან თივის ფქვილთან ერთად; 14 საათზე—აგრეთვე შესველებული ფქვილის ნარევს, 16 საათზე — მშრალი ფქვილის ნარევს და 19 საათზე — ღერღილს.

ყოველ სექციაში საკმაო რაოდენობით ვდგამთ საკვებურებს, სარწყულებლებს დამჟავებული რძითა და წყლით, აგრეთვე საკვებურებს ცალკე მინერალური საკვების — ტრავერტინისა და სილის აბაზანებისათვის.

ჩვენ ყოველთვის წინასწარ ვატარებთ სამკურნალო ღონისძიებებს წიწილების დაავადებათა წინააღმდეგ.

ნ. კლიმენკო.
ქ. პიატიგორსკის კოლმეურნეობა „პროლეტარსკაია ვოლიას“ მეფრინველეობის ფერმის გამგე, ზოოტექნიკოსი.

მათგან უნდა ვისწავლოთ

კასპიის ზღვის ნაპირებიდან კავკასიის ქედის კალთებამდე გადაჭიმული სტავროპოლის მხარის ველიანი სივრცეები. რომ გადასეროთ მხარე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, უნდა გიაროთ 470 კილომეტრი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრამდე მოგიხდებათ 520-ზე მეტი კილომეტრის დაფარვა.

მაგრამ საქმე მარტო ტერიტორიის სიდიდე როდია. სტავროპოლის მხარე ითვლება ჩვენი სამშობლოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რაიონად. მხარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს ყოველწლიურად აბარებენ მრავალ მილიონ ფუთ პურს. ამჟამად ჩვენი სამშობლოს არც ერთ მხარესა და ოლქში არ არის იმდენი ცხვარი, რამდენიც სტავროპოლში, რომელიც იძლევა ქვეყანაში დამზადებული წმინდა და ნახევარწმინდა მატყლის დაახლოებით ნახევარს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის ერთადერთი დარგი, რომლის დონითაც უკანასკნელ ხანებამდე არ შეეძლოთ ეამაყნათ სტავროპოლელებს, იყო მეფრინველეობა. მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა მათ მისცა ამ დარგის აღმავლობის გასაღებიც.

ამან, რაც მხარეში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გააკეთეს საზოგადოებრივი მეფრინველეობის დარგში, ფართოდ გაუთქვა სტავროპოლელებს სახელი. ახლა სტავროპოლელ მოწინავე მეფრინველეთა გამოცდილებაზე სწავლობენ ბევრი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის წარგზავნილნი. არასრული მონაცემებითაც კი, წელს მხარის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეფრინველეობის მექანიზებული ფერმები ინახულა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 35 ათასმა მშრომელმა.

ეი ახლაც, როცა ეს სტრიქონები იწერება, სტავროპოლელ მეფრინველეებთან არიან მოთი ქართველი თანამოსაქმეები, რომლებმაც ზამთრის სუსხიან დღეებში ასეულობით კილომეტრი გამოიარეს, რათა დაეწყოფნ აქაური მეცხოველეების მდიდარ გამოცდილებას, შეიძინონ ყოველივე ახალი და პროგრესული, ისწავლონ ის, რის სწავლაც კი შეიძლება. თვითეულ მათგანს ხელში ბლოკნოტი და ფანქარი უჭირავს. ისინი განსაკუთრებული ყურადღებით ისმენენ და გაფაციცებით იწერენ კოლმეურნეობის თავმჯდომარისა თუ ფერმის გამგის, ზოოტექნიკოსისა თუ რიგითი მეფრინველის ყოველ სასარგებლო სიტყვას.

ჩვენ ქ. სტავროპოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის მექანიზებული ფერმის ეზოში ვართ. თვალს ვერ აშორებ ლამაზად და მკაფიოდ ნაგებ ფერმის შენობას, რომელსაც სიგრძესა და სიგანეზე ფართოდ გაუშლია მხრები. შთაბეჭდილება უფრო ძლიერდება, როცა ფერმაში შედიხართ. წინასწარ რომ არ იცოდეთ, თუ სად იმყოფებით, გეგონებათ ფაბრიკაში მოხვდით. ეს კი, რომ აქ სმენას აყრუებს არა ფაბრიკისთვის დამახასიათებელი მანქანების რიტმული ხმაური, არამედ გალიებში მსხდომი ათასობით ქათმის გაბმული კაკანი. აქ ყველაფერი მექანიზებულია. გალიური შენახვის ექვსსართულიანი ბატარეების მთელ სიგრძეზე განუწყვეტლივ მოძრაობს მრავალნაირი საჭმელით სავსე საკვებურები, რომლებიც ხუთ წუთს ჩერდება ქათმების განსაზღვრული რაოდენობის წინ და შემდეგ ავტომატურად გადაადგილდება. ბატარეის მთელ სიგრძეზე გასდევს სარწყულებლები, რომლებიდანაც ფრინველს შეუძლია ყოველთვის მოთხოვნილებისამებრ მიიღოს სუფთა წყალი. სპეციალური პულტი არეგულირებს ფრინველის ნაკელის გამოსატანი მექანიზმის მუშაობას.

შევიხედოთ საკვებ საამქროში... აქ ყოველთვის გაცხოველებული მუშაობაა. მართალია, საკვების წინასწარ შემზადება ძირითადად მანქანების საშუალებით სრულდება, მაგრამ მეფრინველეებსაც რჩებათ საკმაო სამუშაო — სხვა რომ არაფერი, განა ადვილია მანქანებს შესამზადებლად მიაწოდოთ ფრინვლისათვის განკუთვნილი 24 სახის საკვები?

ყველგან სანიმუშო წესრიგი და სისუფთავეა. კოხტად ჩაცმულ მეფრინველე ქალებს მეტი ალარა დარჩენიათ რა — თვალყური ადევნონ ბატარეების ნორმალურ მუშაობას, ფრინვლის კვებას, რწყულებას და კვერცხის მიღებას.

ბევრი რამ აქვთ საამაყო ამ კოლმეურნეობის მეფრინველეებს. მექანიზებული ფერმის მეოხებით კოლმეურნეობამ 1956 სამეურნეო წელს 1954 წელთან შედარებით 2,7-ჯერ გაადიდა კვერცხის წარმოება, ორჯერ აამაღლა მეფრინველეების შრომის ნაყოფიერება და 25 პროცენტით შეამცირა კონცენტრირებული საკვების ხარჯვა.

და განა მარტო ამ კოლმეურნეობის მიღწევებით შეუძლია იამაყოს მეფრინველეობის დარგში სტავროპოლის მხარემ? დიდ წარმატებებს მიაღწიეს ამ მხრივ აგრეთვე ქ. ესენტუკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ, პიატიგორსკის კოლმეურნეობა „პროლეტარსკაია ვოლიამ“, ქ. გეორგიევსკის კოლმეურნეობამ „პუტ კ კომუნიზმუ“ და სხვებმა, სადაც მეფრინველეობა ინტენსიური, მაღალშემოსავლიანი და რენტაბელური დარგი გახდა.

ყველა ფერმის ძვირფასი კაპიტალია მათი ადამიანები, მოწინავე მეფრინველეები, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული საზოგადოებრივი მეფრინველეობის აღმავლობით.

— მე ამ ადამიანს ოქროსხელებიანი შევარქვი, — სიამოვნებით გვეუბნება ქ. ესენტუკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ი. სიდორენკო და მიგვითითებს მოწინავე მეფრინველეზე, სოციალისტურ შრომის გმირ ნ. ანდრონოვაზე. — აბა სხვა რა სახელი ვუწოდო მას, რომელმაც გასულ სამეურნეო წელს მოსავლელად მიჩენილი ქათმებიდან მიიღო 258 ათასი კვერცხი!

მეფრინველეობით მიღებული ფულადი შემოსავლის ზრდა სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებში (მანეთობით)



და რამდენია სტავროპოლის მხარის მეფრინველეთა შორის ისეთი ოქროსხელებიანი მუშაკი! მათი სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ორიოდე საერთო მაჩვენებელი: 1956 წელს მხარეში 1950 წელთან შედარებით დაახლოებით სამნახევარჯერ გაიზარდა ფრინველის სულადობა, 4-ჯერ და უფრო მეტად კვერცხის წარმოება, ხოლო ორჯერ და უფრო მეტად — თვითეული დედლის კვერცხმდებლობა. მეფრინველეობით მიღებული ფულადი შემოსავალი 1950 წლის 6.457 ათასი მანეთიდან 1956 წელს 67.700 ათას მანეთამდე გაიზარდა.

საზოგადოებრივი მეფრინველეობის დარგში ასეთი გარდატეხა შესაძლებელი გახდა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა თავდადებული შრომით, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ენერგიული მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით, ეს ორგანიზაციები სისტემატურად განიხილავენ მეფრინველეთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგებს, დროულად სახავენ ზომებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, სათავეში უდგანან მასებში ცოცხალ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას. ყოველთვიურად გამოდის სპეციალური ბიულეტენი, რომელიც ასახავს მხარის მეფრინველეობის მუშაკთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგებს, უშვებენ სპეციალურ ბროშურებს, სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები.

მხარის 115 კოლმეურნეობაში ახლა შენდება სხვადასხვა სიდიდის 115 მექანიზებული ფერმა. უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე ექსპლოატაციაში იქნება 60-70 ფერმა, მაშინ როცა გასულ სამეურნეო წელს მხოლოდ 10 იყო.

როგორია პერსპექტივა? 1960 წლისათვის ასეთი ფერმები ექნება 200 კოლმეურნეობას. მაშინ რამდენჯერმე მეტ კვერცხსა და ფრინველის ხორცს მისცემს სტავროპოლის მხარე სამშობლოს.

სტავროპოლელ მეფრინველეებს აქვთ ის, რის სწავლაც შეუძლიათ ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებს.

ბ. ზუკაკიშვილი,
ქ. სტავროპოლი, დეკემბერი.

რა ვნახეთ რუს მეგობრებთან, რას დავნერგავთ წარმოებაში

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაღალგანვითარებულმა მეფრინველეობამ.

რამდენიმე შენიშვნა უნდა გავაკეთო ჩვენს რესპუბლიკაში მეფრინველეობის განვითარებისათვის საჭირო ზოგიერთი საკვები რესურსების შევსების წყაროებზე. მინერალური საკვები ტრავერტინი, რომლის დიდი დეფიციტი იგრძნობა ჩვენს მეფრინველეობის ფერმებში, უხვად მოიპოვება ჩვენი რესპუბლიკის წიალში. საჭიროა მხოლოდ მისი მარაგის გამორკვევა და ექსპლოატაციის დაწყება. ასევე ძნელი საშოვარია ფრინველისათვის საჭირო ძვლისა და ხორცის ფქვილი, რომლის წარმოების გაფართოება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ჩვენი ხორცკომბინატებისათვის. ამას გარდა საჭირო იქნება ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებმა ხელი მოჰკიდონ მეფრინველეობის ფერმების სექციების გადასატიხრავად საჭირო წვრილთვლიანი მავთულბადეების წარმოებას.

ა. ოთარაშვილი,
ნაფარეულის მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი.

• • •

გარდაბნის რაიონის მეტწილ კოლმეურნეობებს საშუალება აქვთ ააშენონ მეფრინველეობის მექანიზებული ფერმები გალიური შენახვის 5 ათასი კვერცხმდებელი დედლისათვის. ამასთან კოლმეურნეობებს ასეთი ფერმების ექსპლოატაციაში შესვლის ერთი წლის თავზე საგსებით შეუძლიათ აინაზღაურონ მშენებლობის ღირებულება, მისცენ სამშობლოს ფრინვლის მეტი ხორცი და კვერცხი, გაზარდონ საკუთარი ფულადი შემოსავლები.

ყველაფერს გავაკეთებ ამისათვის, რომ ყოველმხრივ დავეხმარო ჩვენი კოლმეურნეობის წევრებს სტავროპოლელ მეფრინველეთა მდიდარი გამოცდილების დანერგვაში.

ვ. ბანიჩევა,
გარდაბნის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი.

ქართველ მეფრინველეთა დელეგაციას სტავროპოლის მხარეში ყველა შესაძლებლობა ჰქონდა გულმოდგინედ გაცნობოდა და შეეესწავლა მექანიზებული ფერმებისა და მეფრინველეთა მდიდარი გამოცდილება. ახლა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავნერგოთ ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო წარმოებაში ყოველივე მოწინავე და პროგრესული.

აჭარაში, სადაც მეფრინველეობა ჯერჯერობით სუსტად არის განვითარებული, შეიძლება წარმატებით დავნერგოთ ფრინველის გალიური შენახვა. ამასთან სუბტროპიკული ჰავის პირობებში აუცილებელი არ არის ვაშენოთ კაპიტალური შენობები, როგორც ამას აკეთებენ სტავროპოლში, და შეიძლება დავკმაყოფილდეთ ფარდულით, რომელსაც ექნება მხოლოდ ერთი კედელი ჭარის ნხრიდან.

ლ. აკოფიანი,
ბათუმის მტს-ის ზოოტექნიკოსი.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

ჩქაროსნული გათხრის ოსტატი

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტში უკვე 14 წელიწადია მუშაობს ჩქაროსნული გათხრის ოსტატი ევგენი იორამის-ძე რიჟამაძე.

ე. რიჟამაძე.

• • •

შახტში მთხრელად მუშაობა იოლი საქმე როდი აღმოჩნდა. ე. რიჟამაძე მალე დარწმუნდა, რომ აქ მარტო ფიზიკური ძალა არ კმარა, რომ აუცილებელია სამთო ხელოვნების დაუფლება. იგი დაეწაფა სწავლას. გულდასმით გაეცნო და შეისწავლა შრომის მოწინავე მეთოდები. დაეუფლა მნგრეველობას, მებიგეობას, ამფეთქებლობას და ზეინკლობას. მრავალი სპეციალობის ათვისებამ ე. რიჟამაძეს შესაძლებლობა მისცა გამხდარიყო ჩქაროსნული გათხრის ოსტატი.

ამას წინათ შახტში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა. მოქმედი სანგრევი ხაზის მკვეთრმა შემცირებამ საფრთხეში ჩააგდო ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმე. საჭირო იყო დაჭრითი სამუშაოების სწრაფი ტემპით წარმართვა, საქვესართულო შტრეკებისა და სავენტილაციო კვერძლ:გის გაყვანის დაჩქარება. ამ რთული ამოცანის შესრულება ე. რიჟამაძის ბრიგადას მიანდეს. მოწინავე ბრიგადამ 85 გრძივი მეტრის სამთო გამონამუშევარი ერთ თვეში გაიყვანა. წინათ კი ასეთი მოცულობის სამუშაოს შესრულებას ორ თვეზე მეტს უნდებოდნენ. განვლილ 11 თვეში ე. რიჟამაძის ბრიგადამ უკვე 14 თვის დავალება შეასრულა და ამჟამად მომავალი წლის მარტის ანგარიშში მუშაობს.

გათხრის ჩქაროსნულად წარმოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სანგრევში შპურების სწორად განლაგებას. ეს კი დამოკიდებულია მთხრელის დახელოვნებაზე — სწორად განსაზღვროს ქვანახშირის ფენების დაქანება და მიმართულება, ქვანახშირის სიმაგრე. მთხრელმა უნდა შეძლოს გამოიცნოს ქვანახშირის ფენების თავისებურება, რათა ყველაზე მტკიცე ადგილი მოუძებნოს და შპურები ისე გაბურღოს, რომ აფეთქების ძალა ამ მტკიცე ადგილისაკენ იყოს მიმართული.

მთხრელად მუშაობის 14 წლის განმავლობაში ე. რიჟამაძე კარგად დაეუფლა ამ „საიდუმლოებას". იგი იყენებს გამყელავ და მომნგრევ შპურებს და გამოცდილებით დარწმუნდა, რომ უკეთესია გრძელი შპურების დაბურღვა. ახლა სანგრევში ბურღავენ 6 გამყელავ შპურს. თვითეული მათგანის სიღრმე 1,9 მეტრია. ხოლო დანარჩენი 1,7 მეტრი სიღრმის 9 შპური მომნგრევია. გრძელი შპურების ბურღვის მეთოდის შემოღებამ დიდად დააჩქარა წინსვლითი სამუშაოების წარმოება, გაადვილა აფეთქების ეფექტი.

ძნელი და შრომატევადი სამუშაოა სანგრევის დაბურღვა. ამ სამუშაოს შესრულებაზე ბრიგადას ყოველთვის დიდი დრო ეკარგებოდა. ე. რიჟამაძის წინადადებით ახლა კლდოვან სანგრევებში შემოიღეს ორი პერფორატორით მუშაობა. ამით შემცირდა დაბურღვის დრო, ამაღლდა მთხრელთა შრომის ნაყოფიერება.

სანგრევის სუფთა ჰაერით განიავება მნიშვნელოვნად ადიდებს მთხრელთა შრომის ნაყოფიერებას. ამიტომ არის, რომ ბრიგადირი ამ საკითხს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს. მისი წინადადებით სანგრევში დადგეს ახალი ტიპის ვენტილატორი, რომელიც სანგრევში მომუშავეებს ერთნახევარჯერ ძეტ სუფთა ჰაერს აწოდებს, ვიდრე ძველი ვენტილატორი.

ე. რიჟამაძემ დონბასელთა გამოცდილებისამებრ ფართოდ დანერგა სანგრევში შრომის ორგანიზაციის მაღალი ფორმა — ციკლური გრაფიკი. მან ბრიგადა დაყო სამ რგოლად. თვითეული რგოლი თავის ცვლაში მტკიცედ ახორციელებს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა სრულ ციკლს. ასეთი მუშაობით ბრიგადა დღეღამეში ხშირად სანგრევის ხაზს 4-5 გრძივი მეტრით სწევს წინ, რაც ტყიბულის პირობებში სარეკორდო მაჩვენებელია.

ე. რიჟამაძის ბრიგადას უფრო კარგი წარმატებები ექნებოდა, ხელი რომ არ ეშლებოდეს ხის სამაგრი მასალის მიუწოდებლობით. მთხრელებს ხშირად თვითონ უხდებათ შორი მანძილიდან ბიგების მოზიდვა, რაც მათ დიდ დროს ართმევს. კარგა ხანია ბრიგადირი და ბრიგადის წევრები აყენებენ ფუჭი ქანის ტრანსპორტირების მექანიზაციის საკითხს. მაგრამ დღემდე ამ საქმის მოსაგვარებლად არაფერი გაკეთებულა.

შახტის ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია ყველა მთხრელის კუთვნილებად აქციონ ჩქაროსნული გათხრის ოსტატის ე. რიჟამაძის გამოცდილება.

ვ. ცირეკიძე,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ლიტერატურა და ხელოვნება

ხელოვნების ისტორიის შესწავლისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები სწავლობენ როგორც ძველ ქართულ, ისე ახალ და საბჭოთა პერიოდის ხელოვნებას. შესწავლა ძირითადად მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლების საფუძველზე. გარდა ამისა, წარმოებს მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების შესწავლაც, რისთვისაც მთელი წლის განმავლობაში ინსტიტუტის მუშაკები იგზავნებიან მოსკოვში, ლენინგრადსა და ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებში, სადაც ეცნობიან რუსულ ხელოვნებას და მუზეუმებში დაცული კოლექციების საფუძველზე აზიისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ძეგლების არქიტექტურას, მხატვრულ კერამიკას.

წელს ინსტიტუტმა ფართო საექსპედიციო მუშაობა შეასრულა. ნაწილი მეცნიერი მუშაკებისა გაგზავნილი იყო ქუთაისის რაიონში, სადაც მიმდინარეობდა საკოლმეურნეო საცხოვრებელი სახლების არქიტექტურის შესწავლა, აგრეთვე ძველი არქიტექტურული ძეგლების, კერძოდ, გელათის არქიტექტურული შუასაუკუნეობრივი კომპლექსის შესწავლა.

სპეციალური ექსპედიცია მივლინებული იყო გელათის კედლის მხატვრობის შესასწავლად. კედლის მხატვრობაში აღმოჩენილ იქნა ახალი მასალები — ამერეთის მეფე-დედოფლის სურათები, რომლებიც XV-XVI საუკუნეს ეკუთვნის. მიმდინარეობს ამ სურათების მხატვრობის შესწავლა.

მეცნიერ მუშაკთა ერთი ჯგუფი მუშაობდა წითელწყაროს რაიონში ოზანის ტაძრის იატაკის შესასწავლად. ეს ქართული კერამიკის შესწავლის თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა. იგი ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ძეგლია, რომლის იატაკი მხატვრულად მოჭიქულია.

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობის შესწავლის მიზნით წელს დაღისტანში გაიგზავნა ექსპედიცია რ. შმერლინგის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის წევრებმა შეისწავლეს დაღისტნის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები, რომლებზეც აღბეჭდილია ქართული წარწერები, შეისწავლეს მათი არქიტექტურა, კერამიკა. სოფელ კუბაჩში ისინა გაეცნენ ოქრომჭედლობას.

წელს ექსპედიცია გაგზავნილი იყო აგრეთვე სომხეთში საბჭოთა დროის ხელოვნებისა და ძველი ხელოვნების შესასწავლად. მეორე ექსპედიცია მუშაობდა ბაქოში კერამიკული მასალების გასაცნობად.

ქსნის ხეობაში მომუშავე ექსპედიციის წევრებმა სოფელ წირქოლთან აღმოაჩინეს ქართული კერამიკის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მეტად საყურადღებო მხატვრული ქილები, რომლებიც თარიღდება VIII-IX საუკუნით. ეს ქილები ამჟამად ჩამოტანილია თბილისში.

თელავის თეატრის ახალი დადგმა

თელავი. (საკ. კორ.). თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. ბერძენიშვილის პიესა „ლერწამი ქარში". პიესა დადგა რეჟისორმა შ. ბასაიშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის დ. ბალარჯიშვილს, მუსიკა — შ. კიკვიძეს.

როლებს ასრულებენ მსახიობები: გ. კევლიშვილი, თ. ბერბუთაშვილი, ბ. მარტიაშვილი, დ. სხირტლაძე, ვ. მარკოზაშვილი, თ. მანველიშვილი, ნ. ურუშაძე და სხვ.

თეატრი დასადგმელად ამზადებს გ. ივანიშვილის პიესა „გზებს".

მიკოლა ბაქანის რჩეული ლექსები ქართულ ენაზე

ქართველ ხალხში დიდი სიყვარული დაამახსოვრა მოწინავე უკრაინელმა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა. ჩვენი ხალხის გულითად მადლობას იმსახურებს უკრაინული ლექსის ეს მაღალნიჭიერი ოსტატი, რომელმაც ქართული პოეზიის მრავალი ნიმუში გაახმიანა უკრაინულ ენაზე. მიკოლა ბაჟანმა ბრწყინვალედ თარგმნა ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყე — „ვეფხისტყაოსანი". მასვე ეკუთვნის დავით გურამიშვილის „დავითიანის", ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის", აკაკი წერეთლის „ცისფერ ფანჯარას" და მრავალი ქართველი კლასიკოსის თუ თანამედროვე პოეტის ნაწარმოებთა თარგმანები.

ამიტომ დიდი კმაყოფილებით შეხვდა ქართველი მკითხველი მიკოლა ბაჟანის რჩეული ლექსების ქართულ ენაზე გამოცემას. სახელგამის მიერ დიდი გემოვნებით გამოცემულ ამ წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის პოეტ ხუტა ბერულავას გულთბილად დაწერილი წინასიტყვაობა.

მიკოლა ბაჟანი მრავალჯერ ყოფილა საქართველოში. მას კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები და უყვართ იგი, როგორც მოწინავე საბჭოთა პოეტი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ხალხთა შორის მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

მიკოლა ბაჟანმა მგზნებარედ უმღერა ქართველ ხალხს, მის გმირულ წარსულს, თანამედროვეობას, ბრწყინვალე მომავალს. მეგობრობის დიადი გრძნობით არის გამთბარი პოეტის ლექსები: „ნანგრევები ქუთაისში", „ვაჟა-ფშაველას ხსოვნას", „თმოგვის გზაზე".

შეუძლებელია აუდელვებლად წაიკითხო სტრიქონები:

„მოდის მზესავით
„ვინმე მესხად"
ცნობილი კაცი,
გადადის შუქი
მთიდან მთაზე
გაუთავებლივ:
დიდ მესხს დიდება!
ვინც დაორგუნა
სიკვდილი მკაცრი, —
უამთა წინაშე ქედუხრელად
დგას რუსთაველი!.."

წიგნი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან: „სპასკის კოშკთან", „მოგზაურობანი", „ომის დღეებში", „წლები".

კრებულში დაბეჭდილი ლექსების თარგმანები შესრულებულია პოეტების ალ. მირცხულავას, ი. მოსაშვილის, კ. კალაძის, ხ. ბერულავას, კ. ბობოხიძის, შ. ამისულაშვილის, მ. ლებანიძის, თ. ჯანგულაშვილის, გ. ხუხაშვილის, თ. ჭილაძის, ჯ. ჩარკვიანის და მ. ფოცხიშვილის მიერ.

წიგნის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ მ. გრიგოლიას. წიგნის ტირაჟია 5.000, გვ. 140, ფასი 5 მან.

საკდესის ცნობა

საკდესის 10 ნოემბრის განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით ბევრმა საბჭოთა მოქალაქემ ხელისუფლების ორგანოებს მიმართა თხოვნით დართონ მათ გაემგზავრონ ეგვიპტეში როგორც მოხალისენი, რათა ეგვიპტელ ხალხთან ერთად იბრძოლონ ეგვიპტის მიწა-წყლიდან აგრესორთა განდევნისათვის. ამ განცხადებაში აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ თუ აგრესორები, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებისა, არ გაიყვანენ თავიანთ ჯარებს ეგვიპტიდან, საბჭოთა კავშირის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები არ შეუშლიან ხელს მოხალისე საბჭოთა მოქალაქეების გამგზავრებას ეგვიპტეში.

ამჟამად ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობებმა ოფიციალურად განუცხადეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომ ისინი დაუყოვნებლივ გაიყვანენ ეგვიპტიდან მთელ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს, რომ მათს სარდლობას მიცემული აქვს სათანადო მითითებანი, თუმცა ჯერ კიდევ არის ცდები პირდაპირი ან შენიღბული ფორმით წამოაყენონ რაღაც პირობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მთლიანად შესრულებისათვის.

მიღებული ცნობების თანახმად, დაიწყო ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების გაყვანა. პორტ-საიდიდან. ეგვიპტეს ისრაელის ჯარების გაყვანა [illegible] ეგვიპტის ტერიტორიიდან.

ამრიგად, მსოფლიო საზოგადოებრიობისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ზეგავლენით ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი იძულებული არიან დაემორჩილონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებებს ეგვიპტიდან მათი ჯარების გაყვანის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ არაბთა აღმოსავლეთში ჩაქრობილია ომის ხანძარი. მათ იმედი აქვთ, რომ ინგლისს, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობები შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, და ამრიგად, დედამიწის ამ ზონაში მტკიცედ დამყარდება მშვიდობა და მყუდროება.

ამასთან დაკავშირებით საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ინგლისის, საფრანგეთის და ისრაელის ჯარების სრული გამოყვანა ეგვიპტიდან, ბუნებრივია, ხსნის საკითხს ეგვიპტეში საბჭოთა მოხალისეების გამგზავრების შესახებ. ხალხებს შორის მტკიცე მშვიდობისა და საქმიანი თანამშრომლობის დამყარება იყო და რჩება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე 5 დეკემბერს განახლდა საერთო დისკუსია, რომელიც რამდენიმე დღის წინათ შეწყვეტილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს დელეგაციების მოთხოვნით, რომლებიც ხელოვნურად აძლიერებენ ხმაურს „უნგრეთის საკითხის" გარშემო, რათა ჩამოაშორონ ასამბლეის ყურადღება ისეთი სერიოზული პრობლემების განხილვას, როგორიც არის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, განიარაღების საკითხი, ალჟირის პრობლემა და სხვ.

პირველი გამოვიდნენ ურუგვაის, კანადისა და ისრაელის წარმომადგენლები. ურუგვაის დელეგატმა თავისი სიტყვის მეტი ნაწილი მოანდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის მოთხოვნასა და თავდასხმას სოციალისტური ბანაკის ქვეყნებზე.

კანადის დელეგატმა პირველმა გამოთქვა შიში, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა რიცხვის გაფართოების გამო „იზრდება სხვადასხვაგვარი" მიდგომა ამა თუ იმ პრობლემისადმი. პირველის აზრით, ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება „ანარქია" გამოიწვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში.

ისრაელის წარმომადგენლის ქ-ნ მეირის სიტყვა ფაქტიურად შეიქმნა ცდის გაფარცლებინა თავისი ქვეყნის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, და უხეშ თავდასხმას ერბმთა ქვეყნებზე.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ უკრაინის სსრ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გვატემალისა და სირიის წარმომადგენლები.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ლ. თ. პალამარჩუკმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის და აზიის სხვა როგორც სოციალისტური, ისე არასოციალისტური ქვეყნების ენერგიული მეცადინეობის შედეგად საერთაშორისო ცხოვრებაში ნათლად იჩინა თავი დაძაბულობის ძირეულად შენელებისადმი მისწრაფებამ. მაგრამ ბოლო დროს აგრესიულმა ძალებმა კვლავ მეტად საშიშრად გაამწვავეს საერთაშორისო ვითარება. იგი აგრეთვე შეეხო განიარაღების პრობლემას.

უნგრეთის დელეგაციის მეთაური ი. ხორვატი დაწვრილებით შეეხო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების საქმეში.

სირიის წარმომადგენელმა ზეინ ედ-დინმა თქვა, რომ გენერალური ასამბლეის წინაშე დგას მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ გადაჭრას, კერძოდ, განიარაღება და ატომის ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნით, მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში და ალჟირის საკითხი.

ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის პოზიციის შესახებ ზეინ ედ-დინმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირი გაბედულად დაეხმარა მშვიდობისა და თავისუფლების საქმეს ახლანდელ კრიზისში. მან თავი როდი აარიდა თავის საერთაშორისო ვალდებულებებს".

მკაცრად დაგმო რა საფრანგეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ აფრიკაში, სირიის დელეგატმა თქვა:

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არაბთა ქვეყნებზე კოლონიურ ბატონობას ბოლო უნდა მოეღოს.

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 6 დეკემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. სიტყვები წარმოთქვეს ინგლისისა და ინდოეთის წარმომადგენლებმა.

ინგლისის დელეგატი დიკსონი ყოველნაირად ცდილობდა გაემართლებინა აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. მან მოითხოვა პირდაპირი ჩარევა უნგრეთის საშინაო საქმეებში.

შეეხო რა განიარაღების საკითხს, დიკსონმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა „სწავლობს" საბჭოთა მთავრობის ამა წლის 17 ნოემბრის წინადადებას. მიუხედავად ამისა, მან განაცხადა, თითქოს საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება „რეალისტური არ არის". უწოდა რა „ნაბიჯი წინ" საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რომ იგი მზად არის განიხილოს ატომურ-ოგადაღების, როგორც კონტროლის სისტემის ნაწილის საკითხი, დიკსონმა ამასთან ერთად გამოთქვა უკმაყოფილება, რომ სსრ კავშირი არ ეთანხმება საერთაშორისო კონტროლის მთელი გეგმის მიღებას, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა წარმოადგინეს. ეს გეგმა, როგორც ცნობილია, განიარაღების საკითხზე შეთანხმებას უკავშირებს ბევრ პირობას, მათ შორის მთელი რიგი ისეთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემების გადაჭრას, როგორიც არის გერმანიის გაერთიანება და სხვები.

როგორც დიკსონის სიტყვიდან ცხადი ხდება, ინგლისი არ აპირებს ხელი აიღოს თავის აგრესიულ გეგმებზე ახლო აღმოსავლეთში.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა კრიშნა მენონმა თქვა, რომ შორეულ აღმოსავლეთში მთავარი პრობლემაა ჩინეთის საკითხი. დიდი ხანია დადგა დრო, რომ დიდი ჩინელი ხალხი სათანადოდ იყოს წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მენონმა გააკრიტიკა დასავლეთის ქვეყნები, რომლებმაც ჩაშალეს მომდინარე სესიაზე ამ საკითხის განხილვა.

კ. მენონმა მოითხოვა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონოლოეთის სახალხო რესპუბლიკისა და იაპონიის მიღება.

ილაპარაკა რა კოლონიურ პრობლემებზე, მენონმა განაცხადა, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დაკმაყოფილდეს ალჟირის, კვიპროსის, დასავლეთ ირანისა და გოას ხალხთა მისწრაფება.

ინდოეთის დელეგატმა ცხადყო იმ არგუმენტების უსაფუძვლობა, რომლებიც ამ სესიაზე წამოაყენეს ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის წარმომადგენლებმა. მან მკვეთრად დაგმო აგრესორთა მოქმედება.

შეეხო რა უნგრეთის ამბებს, მენონმა გაიხსენა თავისი ქვეყნის პოზიცია, რომელიც ილაშქრებს სხვის ტერიტორიებზე უცხოთის ჯარების ყოფნის წინააღმდეგ. მან მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის გამგზავრებას ბუდაპეშტში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნას უნგრეთში.

მენონი შეეხო აგრეთვე განიარაღების პრობლემას.

ინდოეთის წარმომადგენლის გამოსვლით დამთავრდა საერთო დისკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე.

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღევანდელ დილის სხდომაზე მოხდა უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის არჩევნები საბჭოს შემადგენლობიდან გასული იუგოსლავიის ნაცვლად. ფარული კენჭისყრის პირველ ტურში ფილიპინების კანდიდატურამ მიიღო 51 ხმა, ჩეხოსლოვაკიისამ — 20 ხმა. ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების ადგილების სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების შესახებ წინათ მიღწეული შეთანხმების დარღვევით იმ ადგილზე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ეკუთვნის, ფილიპინები გაიყვანეს.

საბჭოთა დელეგაციამ პროტესტი განაცხადა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ უხეში დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა კენჭისყრის გამოცხადებულ შედეგებთან დაკავშირებით შემდეგი განაცხადა:

უშიშროების საბჭოში იმ ადგილზე, რომელსაც იუგოსლავია ითავისუფლებს, ფილიპინების არჩევით დაშვებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კანონიერ უფლებათა უხეში დარღვევა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 23-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი ითვალისწინებს, რომ უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრები არჩეულ უნდა იქნან გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, ამ მუხლის განხორციელებაში 1946 წელს მიღწეულ იქნა ჯენტლმენური შეთანხმება უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების ადგილების განაწილების შესახებ სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების გათვალისწინებით. ამ შეთანხმების შესაბამისად საბჭოს არამუდმივი 6 წევრის ადგილიდან ერთი ადგილი განკუთვნილია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. მიუხედავად ამისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების აშკარად დარღვევით იმ ადგილზე, რომელიც ამ ქვეყნებს ეკუთვნით, არჩეული აღმოჩნდნენ ფილიპინები, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ აღმოსავლეთ ევროპის ამ რაიონთან.

ამრიგად, თვითნებობისა და უკანონობის შედეგად მსოფლიოს ერთ-ერთი რაიონი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ორგანოდან გარიცხული აღმოჩნდა.

ახლახან მომხდარი კენჭისყრა მოწმობს იმ ფაქტს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სულ უფრო კარგავს თავის მნიშვნელობას როგორც თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რაც დიდად სამწუხაროა. კენჭისყრა მოწმობს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობას სულ უფრო წარმართავენ და აწესრიგებენ არა წესდების პრინციპებით, არამედ კონიუნქტურული მოსაზრებებით და იმ ქვეყნების ჯგუფის, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვაგვარი კომბინაციებით, რომლებიც ამ ორგანიზაციას თავიანთი ეგოისტური მიზნებით იყენებენ. ეს ძირს უთხრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს.

ზემოთქმულის საფუძველზე, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, საბჭოთა კავშირის დელეგაცია მტკიცე პროტესტს აცხადებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ დაუშვეს.

მოწინავეთა გამოცდილება — მასებს

ლენინის რაიონში სავაჭრო ქსელის მუშაობა უნდა გარდაიქმნას

გაზეთ „კომუნისტის" რეიდი

პირველი ნაკლი, რაც თვალში ეცემა უცხო ადამიანს და რაც მეტად საგრძნობია რესპუბლიკის დედაქალაქის ამ დიდი, მრავალმოსახლეობიანი და მძლავრი სამრეწველო რაიონის მშრომელებისათვის, არის სავაჭრო ქსელის ობიექტების შეუსაბამო დისლოკაცია.

დიდი მაღაზიები, სასადილოები განლაგებული არიან უმთავრესად რაიონის ცენტრალურ უბანში მთავარ ქუჩაზე (საბჭოს ქუჩაზე), ხოლო განაპირა ქუჩებზე, შორეულ უბნებში აქა-იქ თუ წააწყდებით პატარა დუქნებს და კიოსკებს სამრეწველო და საპროდუქტო საქონლის მეტად ღარიბი ასორტიმენტით. მაგალითად, ლოტკინის ქუჩიდან, რომელიც რაიონის ცენტრს საგრძნობლად არის დაშორებული, დიასახლისი შეჭამანდის შესაკაზმავად საჭირო სანელებლების შესაძენად იძულებული ჩამოვიდეს ცენტრალურ მაგისტრალზე განლაგებულ მაღაზიებში ან წავიდეს ქალაქის მეორე რაიონში საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზარზე.

ცხრა ძმის ქუჩიდან (26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მახლობელი ადგილიდან) „პრავდის" ქუჩამდე (რაიონის ცენტრალური უბანია) თითქმის ერთი კილომეტრის მანძილზე არ არის არც ერთი მაღაზია, კიოსკი ან დუქანი, სადაც ბოსტნეული და პირველი მოთხოვნილების მოხმარების საქონელი იყიდებოდეს.

კოლექტივიზაციის ქუჩის მახლობელი უბანი, რომელიც უმთავრესად დასახლებულია სამკერვალო ფაბრიკის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ჩარხმშენებელი ქარხნისა და სხვა საწარმოების მუშებით, ღარიბია საპროდუქტო, ხილ-ბოსტნეულის და ნავთის დუქნებით. ნავთისათვის დიასახლისებს შორ მანძილზე უხდებათ სიარული.

მთელს რაიონში არ არსებობს რძისა და რძის პროდუქტების სპეციალიზებული მაღაზია, არც თევზისა და მისი პროდუქტების სპეციალიზებული მაღაზია, არ არსებობს საკონდიტრო ნაწარმის მაღაზია, თუმცა მომხმარებლები ამ მაღაზიებს ლენინის რაიონში ცოტა როდი ეყოლებოდათ.

მეორე მთავარი ნაკლი, რაც ლენინის რაიონის სავაჭრო ქსელის მუშაობას ახასიათებს, არის საბჭოთა ვაჭრობის პრინციპების დარღვევა, ვაჭრობის კულტურის დაბალი დონე, ფასების პოლიტიკის დამახინჯება. მაღაზიების მუშაობასთან გაცნობისას ასეთ ფაქტებს წავაწყდით:

პურის № 133 მაღაზიაში (პლეხანოვის სახელობის კლუბის პირდაპირ) გამყიდველმა ქ. ბერუაშვილმა ჩვენს თვალწინ მომხმარებელ ჭონონელიძეს 10 კაპ. ხურდა არ დაუბრუნა. მეორე პურის მაღაზიაში (№ 6, გამგე მ. ცხოვრებოვი) ორშაურიანი ხურდის დაბრუნება მომხმარებლისათვის, როგორც თვითონ მომხმარებლებმა გადმოგვცეს, წესად არ ჰქონიათ. ამის დამადასტურებელ ფაქტს ის წარმოადგენს, რომ ამ მაღაზიაში ჩვენი ყოფნისას, გამყიდველმა რ. ლათიბაშვილმა მომხმარებელ თ. ჩიქოვანს 10 კაპიკი ხურდა არ მისცა.

მომხმარებლები საყვედურს გამოთქვამენ პურის მეხუთე, პირველი და მეექვსე ქარხნების ხელმძღვანელებისადმი იმიტომ, რომ მათ ვერ მოაწესრიგეს სტანდარტული, თანაც მაღალხარისხოვნად გამომცხვარი პურის გამოშვება. პურვაჭრობის მეცამეტე მაღაზიაში წავაწყდით მეხუთე პურსაცხობი ქარხნის (დირექტორი ვ. ქადაგიძე) პროდუქციას — 7 ცალ სტანდარტულ პურს. თვითეულს დაწესებულ წონაზე აკლდა 40-45 გრამი. ასევე იყო პურის მეექვსე მაღაზიაში, სადაც შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ პირველი პურსაცხობი ქარხნიდან მოტანილ სტანდარტულ პურს წონაში 50 გრამი აკლდა თვითეულს. მეექვსე პურსაცხობი ქარხნიდან მოტანილ პურში აღმოჩნდა მოუცომავი ფქვილის „ბუდეები".

საბჭოთა ვაჭრობის დარღვევის ფაქტს წავაწყდით თბილკვებვაჭრობის № 225 მაღაზიაში (გამგე გ. წიგნეიძე, გამყიდველი რ. მუზაშვილი), სადაც ყიდდნენ სტანდარტულ წონაზე საგრძნობლად ნაკლები წონის „პონჩიკებს", რომლებსაც არ ჰქონდა ფასის მაჩვენებელი.

თბილკვებვაჭრობის № 42 მაღაზიაში (დირექტორი ს. ჩეხოევი) ხშირად არა აქვთ მასობრივი მოთხოვნილების საქონელი (ბურღული, ხელის საპონი და ა. შ.). მაღაზიაში უსუფთაობაა, პროდუქტებს ფასი არ აწერია, იატაკი ანგრეულია და შეკეთებას საჭიროებს. ასეთსავე მდგომარეობაშია თბილკვებვაჭრობის № 66 მაღაზია, სადაც გამგედ ი. შავყელიშვილი მუშაობს.

თბილკვებვაჭრობის ხელმძღვანელები საკმაოდ არ ზრუნავენ იმისათვის, რომ მათმა ქსელმა კარგად იმუშაოს, დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილება. არ იციან ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, თუ რა ხდება მათს მაღაზიებში, კიოსკებში, თორემ წარმოუდგენელია, რომ შეურიგდნენ საბჭოთა კულტურული ვაჭრობის დარღვევის აღმაშფოთებელ შემთხვევებს. მაგალითად, თბილკვებვაჭრობის № 188 კიოსკში გამგედ მუშაობს ი. ინგოროყვა, იქვე „მუშტრებს" მომსახურებას უწევს მისი შვილი. კიოსკი სამეკიტნოდ არის გადაქცეული. მომხმარებლებს სთავაზობენ მაგარ სასმელებს, რომელთა ნიმუშები გამოფენილია კიოსკის ვიტრინაში, თუმცა ფასი არც ერთ ბოთლზე არ არის აღნიშნული. კიოსკის გამგეს შემოწმების დროს „შემონახული" (ე. ი. გადამალული) აღმოაჩნდა 100 ბოთლი პურის არაყი, რომელსაც ჭიქობით ჰყიდის „ნაცნობებზე", ამ ასი ბოთლი არყის ფაქტურა კიოსკის გამგეს არ ჰქონდა.

საერთოდ რაიონში ასეთი კიოსკებისა და ე. წ. „სასაუზმ

ᲙᲝᲜᲤᲠᲘᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთ „ნეპსაბადშაში“ გამოქვეყნებულია ბუდაპეშტის პოლიციის სამმართველოს ცნობა, რომელშიც ნათქვამია:

ამ დღეებში ბუდაპეშტის ქუჩებში გამოჩნდა ფურცლები და განცხადებები, რომლებიც ქალაქის მოსახლეობას მოუწოდებდნენ დემონსტრაციებისაკენ, გაფიცვისაკენ, შეიარაღებული მოქმედებისაკენ. შეიფოთების გამომწვევ ამ კონტრრევოლუციურ მოწოდებათა მიზანია გაამწელონ წესრიგის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა დედაქალაქში, აგრეთვე დააშინონ ქალაქის მოსახლეობა, რომელსაც შეედიდობაინა ცხოვრება სწყურია. მოსახლეობის განცხადებები და მოთხოვნები უკარნახებენ ბუდაპეშტის პოლიციის სამმართველოს ენერგიულად მიეღოს ბოლო კონტრრევოლუციური ელემენტების საქმიანობას და მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისა და შეიდიდობიანი შემოქმედებითი შრომის უზრუნველყოფისათვის.

შფოთისა და ახალი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ბუდაპეშტის პოლიციის სამმართველომ დედაქალაქში დააპატიმრა მთელი რიგი პირები, რომლებზეც ეჭვი აქვს მიტანილი, რომ კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწევიან. დაპატიმრებულთა შორის არიან იშტვან მიჩინაი, რომელმაც საყოველთაოდ პატივცემული მუშა კალმან ტურნერი (პეტერ-ეგბეტდან) მოკა, ერნე ჰალასი, რომელმაც ააფეთქა რკინიგზის ლიანდაგი, რათა ხელი შეეშალა სურსათით და მასალებით დედაქალაქის მშრომელთა მომარაგებისათვის, ბუდაპეშტელი ჟურნალისტი დიულა ობეროვსკი, რომელიც რატატორით ბეჭდავდა და ავრცელებდა კონტრრევოლუციურ წამქეზებელ ფურცლებს. ამაში მას სხვა პირებიც ეხმარებოდნენ. გაჩხრეკისას დიდი რაოდენობით კონფისკებულია კონტრრევოლუციური ფურცლები. დაპატიმრებულია აგრეთვე ბუდაპეშტის ბრახნის დამამზადებელი ქარხნის ტექნიკოსი გეზა კოვაჩი, რომელიც მუშების მოტყუებით გაძვრა ქარხნის მუშათა საბჭოს თავმჯდომარედ. ეგამოძიებამ დაადასტურა, რომ, მიიღო რა მუშათა საბჭოს წევრის ოიეფ შესაროშის წინადადება, ქარხნის მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ ნება დართო ქარხნის როტატორით გაემრავლებინათ მესაროშის მიერ მიღებული კონტრრევოლუციური შინაარსის ფურცლები. მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ ისიც იცოდა, რომ ავრცელებდნენ ამ ფურცლებს ბუდაპეშტის პოლიციის სამმართველომ, დააკავა რა ეს პირები მამხილებელი საბუთებით, დაუპატიმრა ისინი და მოახდინა მათთან აღმოჩენილი მრავალი ფურცლის კონფისკაცია. მე-6 რაიონში პოლიციამ დააკავა ერთი მსუბუქი ავტომობილი, მანქანაში მყოფ ოთხ ბანდიტს წაართვა სამი პისტოლეტი და 250 ვაზნა. პოლიციამ დაუპატიმრა ეს ოთხი ბანდიტი.

გამორკვეულია, რომ დანაშაულებრივი ელემენტები გამოდიან ზოგიერთი მუშათა საბჭოს წევრის ან წარმომადგენლის ნიღბით და, ახორციელებენ რა ანტიმუშურ მავნებლურ საქმიანობას, სახელს უტეხენ მუშათა საბჭოების პატიოსან წევრებს, რომლებიც მოითხოვენ ქვეყნის მეურნეობის აღდგენასა და აღმავლობას. სულ უფრო მეტი მშრომელი გამოდის უსინდისო ფაშისტების წინააღმდეგ და დახმარებას უწევს რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას მათს მზრუნველობასა და გაუვნებლებებაში.

ᲑᲣᲓᲐᲪᲔᲨᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲤᲠᲘᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲑᲣᲓᲐᲪᲔᲨᲢᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ბუდაპეშტის რადიო იუწყება, 6 დეკემბერს ორგანიზებულმა მუშებმა და ძველმა კომუნისტებმა მოაწყეს მუშათა კრებები ქალაქის სხვადასხვა ნაწილში. მუშათა ჯგუფები, რომლებიც დემონსტრაციას აწყობდნენ მუშური ხელისუფლებისა და სახალხო დემოკრატიისათვის მხარდაჭერის ნიშნად, მოითხოვდნენ, რომ მთავრობამ მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება მალე აღადგინოს სრული წესრიგი და საზოგადოებრივი უშიშროება დედაქალაქში.

მუშათა კრებებმა მთავრობას გაუგზავნეს დელეგაციები და დაავალეს სთხოვონ მთავრობას შეასრულოს მოთხოვნები კონტრრევოლუციონერების ალაგმვისა და ლიკვიდაციისათვის სწრაფ და სასტიკ ღონისძიებათა მიღების შესახებ.

ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘᲜ, 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ დამასკოში გაიმართა ახალგაზრდობის ლაშქის დათვალიერება. შემდეგ მოეწყო მოლაშქრეთა პარადი, რომელიც მიიღო პრეზიდენტმა შუქრი კუატლიმ.

პარადის დამთავრების შემდეგ სირიის უნივერსიტეტის საარტო დარბაზში გაიმართა კრება, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა შუქრი კუატლიმ.

აღნიშნა რა საუდის არაბეთისა და ეგვიპტის ხალხის ღონისძიებანი არაბთა ერთიანობის განმტკიცებაში, აგრეთვე ეგვიპტელი ხალხის გმირობა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, შუქრი კუატლიმ მწვავედ გააკრიტიკა იმპერიალისტების მიერ შექმნილი ბაღდადის სამხედრო ბლოკი.

შეეხო რა იმპერიალისტურ შეთქმულებას სირიის წინააღმდეგ, კუატლიმ განაცხადა, რომ იმპერიალისტებს სურდათ ზეგავლენა მოეხდინათ სირიაზე, რათა ძირი გამოეთხარათ არაბთა ერთიანობისათვის. როცა იმპერიალისტთა ცდები მარცხით დამთავრდა, მათ თავიანთ აგენტებს სირიაში გაუგზავნეს იარაღი, რათა დაემხოთ სირიაში არსებული სახელმწიფო წყობილება. მაგრამ სირია გამარჯვებული გამოვიდა ეროვნულ ბრძოლაში გარეშე მტრის წინააღმდეგ.

სირიის საგარეო პოლიტიკის შესახებ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი ემყარება ნეიტრალიტეტის პრინციპს. სირია, თქვა შუქრი კუატლიმ, ეწინააღმდეგება ყოველგვარ ცდას გადააქცეონ მისი ტერიტორია ახალი ომის ასპარეზად. შეუძლებელია, დასძინა პრეზიდენტმა, რომ არაბული ნავთობი გამოყენებულ იქნას იარაღად ჩვენს წინააღმდეგ. პირიქით, მან სამსახური უნდა გაუწიოს მშვიდობის მიზნებს.

შუქრი კუატლიმ მადლობა გადაუხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნების ჯგუფს, არაბებისადმი თანაგრძნობისა და მხარდაჭერის გამო.

დასასრულ მან მადლობა გადაუხადა სირიელ ხალხსა და მის არმიას იმპერიალისტთა ხრიკების წინაშე სიმტკიცის გამოჩენისათვის.

ᲔᲒᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲠᲔᲑᲘ ᲣᲐᲠᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲘᲝᲛᲝᲜ ᲡᲘᲠᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲘᲜ, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ან-ნასრი“ იუწყება, ეგვიპტიდან მიღებული ცნობებით, ეგვიპტის არმიის ბრიგადების მეთაურებმა თავიანთ თანამებრზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მათი ბრიგადები არ იომებენ სირიის წინააღმდეგ, თუ პრემიერ-მინისტრმა ნური საიდმა გამოსცა ბრძანება სირიაზე თავდასხმის შესახებ, რამდენადაც ეს აქტი იქნებოდა დანაშაული არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ.

ბრიგადების მეთაურთა გადაწყვეტილება ეცნობა მეფე ფეისალს.

ამ გადაწყვეტილებამ, წერს გაზეთი, დიდად შეაშფოთა ნური საიდი, რომელმაც თავის მხრივ გასცა ბრძანება ბრიგადის მეთაურთა გადაყვან-გადმოყვანის შესახებ. მაგრამ ეს ბრძანება დღემდე არ შესრულებულა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲛᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს თემთა პალატაში დამთავრდა კამათი ახლო აღმოსავლეთში ინგლისის მთავრობის პოლიტიკის საკითხზე. კამათი მწვავე ვითარებაში მიმდინარეობდა: მთავრობის დამცველ ორატორებს ლეიბორისტებმა არაერთგზის შეაწყვეტინეს სიტყვა პოლემიკური რეპლიკებით.

მაგალითად, ოპოზიციის წარმომადგენლებმა სიტყვა შეაწყვეტინეს ფინანსთა მინისტრს მაკმილანს, თუმცა მან მოუწოდა ლეიბორისტებს „ასებულ ვითარებაში არ გაამწვავონ უთანხმოება ორ პარტიას შორის“. როცა მაკმილანმა შეაქო ბაღდადის სამხედრო პაქტი და დასახა იგი ახლო აღმოსავლეთში „ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ შექმნის საფუძვლად, ლეიბორისტმა ენიურინ ბევნმა შენიშნა, რომ მაკმილანის გეგმა შეიძლება აიხსნას როგორც სურვილი „შუა აღმოსავლეთის ეკონომიური განვითარება ხელში ჩაუგდონ დასავლეთის სახელმწიფოებს“ და რომ რაიმე ორგანიზაციის საფუძვლად ბაღდადის პაქტის გამოყენება „ცივი ომის გაძლიერების მომასწავებელი იქნებოდა“.

ოპოზიციის მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა მკვეთრად დაგმეს მთავრობის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში და აღნიშნეს, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვება სამხედრო ავანტიურას ინგლისის ეკონომიკისათვის. ლეიბორისტმა ედუარდ შორტმა აღნიშნა, რომ ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიამ გამოიწვია არაბი ხალხების აღშფოთება და რომ შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში „წარმოიშვა სიძულვილი ინგლისისადმი“.

ლეიბორისტთა ოპოზიციის ლიდერმა ჰიუ ჰეიტსკელმა განაცხადა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს არ უნდა დაეშვათ, რომ ისრაელი თავს დასხმოდა ეგვიპტეს. ჰეიტსკელმა აღნიშნა, რომ ისრაელი საფრანგეთისა და ინგლისის თანხმობით მოქმედებდა. კარგად არის ცნობილი, განაგრძო ჰეიტსკელმა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისიდან ამზადებდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ ძალის გამოყენების გეგმებს და რომ არაერთხელ „მომხდარა საიდუმლო თათბირი საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრებს შორის“. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ავანტიურის შედეგი ინგლისს მოელის უმუშევრობის ზრდა და სიძვირის გაძლიერება.

კამათის დასასრულს გამოვიდა ბეჯდის მცველი ლორდ ბატლერი (პრემიერ-მინისტრის მოვალეობის აღმსრულებელი იდენის ავადმყოფობის გამო), რომელიც ამართლებდა მთავრობის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში. როგორც ბატლერის გამოსვლიდან ჩანს, ინგლისის მთავრობას სურდა აგრესიის შედეგად შექმნილი სიტუაცია გამოეყენებინა, რათა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის თავს მოეხვია ყველა პრობლემის ისეთი გადაჭრა, როგორიც სასურველია მისთვის. ბატლერის შემდეგი სიტყვებიდან ჩანდა, რომ ინგლისი ისწრაფვის განაგრძოს სამხედრო ბლოკების შეკოწიწება ამ რაიონში, თუმცა ეს პოლიტიკა, მისივე აღიარებით, მარცხდებოდა 10 წლის განმავლობაში. ამასთანავე ბატლერმა ილაპარაკა დასავლეთის შემდგომი ეკონომიური ექსპანსიისა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის სიმდიდრის ექსპლოატაციის გეგმებზე.

შემდეგ დაიწყო კენჭისყრა. მთავრობის რეზოლუცია, რომელიც იწონებს ინგლისის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში, მიღებულ იქნა 52 ხმის უმრავლესობით. (ამ რეზოლუციას ხმა მისცა თემთა პალატის 312 წევრმა, წინააღმდეგ ხმა მისცა 260 წევრმა).

ლეიბორისტებმა შესწორების სახით შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც გმობს მთავრობის პოლიტიკას. ეს რეზოლუცია თემთა პალატამ უარყო 327 ხმით 260 ხმის წინააღმდეგ.

XVI ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐᲖᲔ

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ, 7 დეკემბერი. (საკდესი). 6 დეკემბერს გვიან საღამოს დამთავრდა შეჯიბრება ტანვარჯიშში ვაეთა შორის. შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, რომლებმაც ყველგან ცხადყვეს თავიანთი მაღალი საერთაშორისო კლასი. დღეს მათ მოიპოვეს 7 ოქროს, რამდენიმე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

რგოლებზე ვარჯიშში ბრწყინვალედ გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი ა. აზარიანი, რომელმაც მოაგროვა 19,35 ბალი. მას გადაეცა ოქროს ოლიმპიური მედალი. ვერცხლის მედალი გადაეცა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენს ვ. მურატოვს.

ორძელზე ვარჯიშში პირველი ადგილი დაიკავა ვ. ჩუკარინმა (სსრ კავშირი). იგი დაჯილდოებულია ოქროს ოლიმპიური მედლით.

ბრჯენთან ხტომაში თანაბარი შედეგები მოიპოვეს გერმანელმა სპორტსმენმა ხ. ბანგმა და სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. მურატოვმა. მათ გადაეცათ ოქროს ოლიმპიური მედლები. ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ი. ტიტოვმა.

ტაიჭზე ვარჯიშში პირველი ადგილი და ოქროს ოლიმპიური მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ბ. შახლინმა. მეორე ადგილი დაიკავა იაპონელმა ტ. ონომ. ვ. ჩუკარინმა (სსრ კავშირი) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ღერძზე ვარჯიშში ოქროს მედალი მოიპოვა ტ. ონომ (იაპონია). ვერცხლის ოლიმპიური მედალი მიეკუთვნა ი. ტიტოვს (სსრ კავშირი).

ნებისმიერ ვარჯიშში პირველობდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვ. მურატოვი. მან მოიპოვა ოქროს ოლიმპიური მედალი. თითო ვერცხლის მედალი მიიღეს ვ. ჩუკარინმა (სსრ კავშირი), ნ. იიხარამ (იაპონია) და ვ. ტორეესნმა (შვეიცია).

ტანმოვარჯიშეთა საერთო პირად პირველობაში ოქროს ოლიმპიური მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. ჩუკარინმა. იაპონიის წარმომადგენელს ტ. ონოს გადაეცა ვერცხლის მედალი. ბრინჯაოს ოლიმპიური მედალი მიეკუთვნა საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ი. ტიტოვს.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან საბჭოთა ტანმოვარჯიშეები. მათ მოიპოვეს გუნდური ოქროს ოლიმპიური მედალი. ვერცხლის მედალი მოიპოვა იაპონიის გუნდმა. მესამე ადგილზე არიან ფინელი ტანმოვარჯიშეები.

ამრიგად, 25 ოქროს მედლიდან, რომლებიც 6 დეკემბერს გათამაშდა ოლიმპიადაზე, საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 12. გარდა ამისა, მათ გუშინ მოიპოვეს 4 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი და გუსწრეს თავიანთ ძირითად მეტოქეს — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს — არა მარტო მედლების საერთო რაოდენობით, არამედ ოქროს მედლების რაოდენობითაც.

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ, 7 დეკემბერი. დღეს პორტატიული საგნებით ქალების გამოსვლით დამთავრდა შეჯიბრება ტანვარჯიშში. ამ სახეობის შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ უნგრელი ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც მოაგროვეს 75,2 ბალი. ვერცხლის მედალი მოიპოვა შვეიცის გუნდმა — 74,2 ბალი. საბჭოთა და პოლონელმა ტანმოვარჯიშეებმა მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს.

სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამით შეჯიბრების ჯამში, აგრეთვე პორტატიული საგნებით შეჯიბრებაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მოაგროვეს 444,80 ბალი და პირველ ადგილზე გამოვიდნენ გუნდურ პირველობაში. ისინი დაჯილდოებული არიან ოქროს მედლით.

დილით მიცემულ იქნა გზატკეცილის ველოსიპედოლის სტარტი 187 კილომეტრსა და 731 მეტრ დისტანციაზე. ეს მანძილი პირველმა დაამთავრა და ოქროს მედალი მოიპოვა იტალიელმა სპორტსმენმა ე. ბალდინმ, რომელიც ფინიშზე მივიდა 5 საათის, 21 წუთისა და 17 წამის შემდეგ. საბჭოთა ველოსიპედოლელებმა ა. ჩერეპოვიჩმა და ნ. კოლუმბეტმა მე-15 და მე-16 ადგილები დაიკავეს. გუნდურ პირველობაში საბჭოთა ველოსიპედოლები მეექვსე ადგილზე გამოვიდნენ.

წყალბურთის შეჯიბრებაში დღეს სსრ კავშირის გუნდი ეთამაშა გერმანელ წყალბურთელებს. საბჭოთა სპორტსმენებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 6:4, მესამე ადგილი დაიკავეს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ოლიმპიური ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა უნგრეთის გუნდმა, რომელმაც დღეს მეოდგარ ბრძოლაში აჯობა იუგოსლავიის სპორტსმენებს ანგარიშით 2:1. იუგოსლავიის გუნდი დაჯილდოებულია ვერცხლის მედლით.

კოშკიდან წყალში ხტომაში ქალთა ფინალურ შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიპოვა პ. მაკკორმიკმა (ამერიკის შეერთებული შტატები) — 84,85 ქულა. შემდეგი ორი ადგილი დაიკავეს აგრეთვე ამერიკელმა სპორტსმენებმა. საბჭოთა სპორტსმენებმა ტ. კარაკაშიანცმა და ლ. ჟიგალოვამ შეძლეს მხოლოდ მე-5 და მე-6 ადგილების დაკავება.

ოთხას მეტრზე ნებისმიერი სტილით ფინალურ გაცურვაში ქალთა შორის გაიმარჯვა ავსტრალიელმა ლ. კრეპმა. მან დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი — 4 წუთი და 54,6 წამი. საბჭოთა სპორტსმენებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მცურავმა დ. ბრინმა შერჩევით შეჯიბრებაში დამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 1.500 მეტრ დისტანციაზე ნებისმიერი სტილით, ზოგიერთი სპეციალისტი უწინასწარმეტყველებდა მას ფინალურ გაცურვაში გამარჯვებას. მაგრამ ახალგაზრდა ავსტრალიელმა მცურავმა როუზმა გაუბათილა ეს ვარაუდი. მშვენიერი სტილით მან დისტანცია გაცურა 17 წუთსა და 58,9 წამში და ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინმა (ამერიკის შეერთებული შტატები) დაიკავა მხოლოდ მესამე ადგილი — მას გაუსწრო ახალგაზრდა იაპონელმა მცურავმა ც. იამანაკამ.

დღეს მთავარ სტადიონზე გაიმართა ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის უკანასკნელისწინა მატჩი. მესამე და მეოთხე ადგილებისათვის იბრძოდნენ ბულგარეთისა და ინდოეთის გუნდები. ბულგარელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:0 აჯობეს ინდოელ სპორტსმენებს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ინდოეთის ფეხბურთელებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს.

★ ★ ★

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ, 8 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ, მთავარ სტადიონზე გაიმართა XVI ოლიმპიური ასპარეზობის დახურვის ცერემონია.

ცერემონიის დაწყების წინ 100 ათასი მაყურებლის თანდასწრებით მოეწყო ფეხბურთის მატჩი სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა ანგარიშით 1:0. ამრიგად, საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიპოვეს ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონის სატიტო წოდება.

16 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით მთავარი სტადიონის მოედანზე გამოდის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე ქვეყნების მედროშეთა კოლონა. კოლონას ტრადიციის მიხედვით წინ მოუძღვის საბერძნეთის გუნდის მედროშე. სსრ კავშირის სახელმწიფო ალმი სტადიონზე შემოაქვს ვ. კუცს. მედროშეთა კოლონა ჩამწკრივდა სტადიონის მოედანზე. მედროშეების შემდეგ სტადიონზე გამოდის ასპარეზობის მონაწილე სპორტსმენთა ნაკრები კოლონა, რომელშიც არის სხვადასხვა ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი. სპორტსმენები მოდიან ერთიან კოლონად, რითაც სიმბოლიურად გამოხატავენ ოლიმპიური ასპარეზობის ძირითად იდეას — ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის სულიერ ერთიანობას, ერთობას, ერთობას, ერთობას.

ოლიმპიური ემბლემით — ხუთი გადაჯაჭვული რგოლით მორთულ ტრიბუნაზე ადიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბრუნდეჯი, მელბურნის ლორდ-მერი სელექტი და სხვა ოფიციალური პირები.

სამ ფლაგშტოკზე აფრიალდა ავსტრალიის, საბერძნეთისა და იტალიის სახელმწიფო ალმები: ავსტრალიისა — XVI ოლიმპიური ასპარეზობის ორგანიზატორი ქვეყნის პატივსაცემად, საბერძნეთისა — ოლიმპიური ასპარეზობის სიმბოლოს ადგილი, ანტიკურ ოლიმპიურ ასპარეზობის